

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

CEMP00

ნოემბერი, 2012 წელი,
შპს „აჭარისწყალი საქართველო“ (AGL)

შპს „აჭარისწყალი საქართველო“

მოტ-მაკდონალდი

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

CEMP00

ნოემბერი 2012 წელი

შპს აჭარისწყალი საქართველო (AGL)

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

1. აბაშიძის ქუჩა 6, 6010 ბათუმი, საქართველო

მოტ-მაკდონალდი : Mott MacDonald, Victory House, Trafalgar Place, Brighton BN1 4FY,
United Kingdom T +44(0) 1273 365 000 F +44(0) 1273 365 100, www.mottmac.com

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

გამოშვების და შესწორების ჩანაწერი

შესწორება	თარიღი	ავტორი	შემმოწმებელი	დამამტკიცებელი	აღწერა
A	24/10/2012	Y. Corish, A. Dal Mut	L. Turk	—	პროექტი კლიენტისთვის განსახილველად
B	13/11/2012	Y. Corish A. Dal Mut	V. Hovland	AGL-ის EHS მენეჯერი	მოქმედი, განსახორციელებლად

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

ეს საბუთი გამოშვებულია შემკვეთი მხარისთვის და სპეციფიკური მიზნებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია მხოლოდ ზემოთ დასახელებული პროექტთან. მას არ შეიძლება დაეყრდნოს ნებისმიერი სხვა მხარე ან გამოიყენოს ის რაიმე სხვა მიზნისთვის.

ჩვენ არ ვაგებთ პასუხს ამ საბუთის იმ შედეგებზე, თუ მას დაეყრდნობა ნებისმიერი სხვა მხარე ან იქნება გამოყენებული რაიმე სხვა მიზნისთვის, ან რაიმე შეცდომასა და დაუდევრობას, რაც გამოწვეულია შეცდომით ან დაუდევრობით მონაცემებში, ჩვენდამი მოწოდებულ სხვა მხაეების მიერ.

ეს საბუთი შეიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას და კერძო ინტელექტუალურ საკუთრებას. არ შეიძლება მისი ჩვენება სხვა მხარეებისთვის ჩვენი თანხმობის და იმ მხარის გარეშე, რომელმაც ის შეკეთა.

შინაარი

თავი	დასახელება	გვერდი
1.	შესავალი	
1.1	მიმოხილვა	
1.2	მოქმედების სფერო	
1.3	გავრცელება და მიმოხილვა	
2.	CEMP	
2.1	შესავალი	
2.2	გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის სტრუქტურა	
2.2.1	AGL-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა	
2.2.2	დაგეგმვა	
2.2.3.	განხორციელება	
2.2.4.	შემოწმება და მაკორექტირებელი ქმედება	
2.2.5.	მართვის მიმოხილვა	
3.	გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, რეგულაციები და დირექტივები	
3.1	მიმოხილვა	
3.2	ქვეყნის კანონმდებლობა	

3.3 საერთაშორისო მოთხოვნები

4. საორგანიზაციო მიმოხილვა

4.1 მიმოხილვა

4.2 მშენებლობის EHS ორგანიზაცია

4.2.1. მიმოხილვა

4.2.2. AGL-ის EHS ორგანიზაცია

4.2.3. კონტრაქტორის EHS ორგანიზაცია

5. როლები და პასუხისმგებლობა

5.1 მიმოხილვა

5.2 AGL/OE

5.2.1 AGL-ის პროექტის მენეჯერი / OE მტავარი ინჟინერი

5.2.2 AGL-ის EHS მენეჯერი

5.2.3 OE გარემოსდაცვითი მენეჯერი

5.2.4 AGL-ის გარემოსდაცვითი ოფიცრები

5.2.5 AGL-ის საზოგადოებთან კავშირის ოფიცერი

5.2.6 AGL-ის საზოგადოების ცოცხალი ბუნების ოფიცერი

5.3 კონტრაქტორის პერსონალის დაქირავება

5.3.1 კონტრაქტორის სამშენებლო მოედნის მენეჯერი

5.3.2 კონტრაქტორის EHS მენეჯერი

5.3.3 კონტრაქტორის ოფიცრები გარემოს დაცვაში

5.4 სუბკონტრაქტორები

6. ტრენინგი

6.1. მიმოხილვა

6.2. სამშენებლო მოედანზე შესავალი ტრენინგი

6.3 სპეციალისტი გარემოსდაცვითი ტრენინგი

6.4 უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე

6.5 ტრენინგის ჩანაწერები

7. გარემოსდაცვითი ინსპექცია, მონიტორინგი და აუდიტი

7.1. მიმოხილვა

7.2. ტურები სამშენებლო მოედანზე

7.3. ყოველკვირეული სამშენებლო მოედნის ინსპექციები

7.4. აუდიტი

7.4.1. შიდა

7.4.2. გარე

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

7.5. გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროგრამა

8. დარღვევა და მაკორექტირებელი ქმედებები

8.1. მიმოხილვა

8.2. მცირე დარღვევები

8.3. დარღვევის პროცედურა

8.4. ინციდენტზე შეტყობინება

9. საჩივარის დამუშავების პროცედურა

9.1 მიმოხილვა

9.2 საჩივრის პროცედურა

10. გარემოსდაცვითი შეტყობინების ჩანაწერები

10.1 მიმოხილვა

10.2 სარეგულაციო შეტყობინება

10.3 ყოველკვირეული EHS ანგარიშები

10.4 კვარტალური ანგარიშები კრედიტორებს

10.5 ჩანაწერების შენახვა

დანართები

დანართი A. ინციდენტზე შეტყობინების ფორმა

დანართი B. საჩივარის ფორმა

1. შესავალი

1.1 მიმოხილვა

შპს „აჭარისწყალი საქართველო“ (შემდგომში – AGL) იწყებს აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტის (პროექტი) მშენებლობას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, საქართველო. ამ პროექტს სავარაუდოდ ექნება მთლიანი დადგმული სიმძლავრე 400 მვტ განახლებადი ენერჯია.

ეს პროექტი შეიცავს სამ ცალკეულ ჰიდროელექტროსადგურს მდინარე აჭარისწყლის გასწვრივ, რომლებიც ფუნქციონირებენ კასკადში. თითოეული ჰესი შედგება კაშხლების და წყალგადასაშვებების, წყალსაცავების, წყალსატარების და გვირაბების კომბინაციისგან, ელექტროსადგურის შენობისგან, სიმძლავრის ევაკუაციის და მისასვლელი გზებისგან.

ამ მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმის (CEMP) უპირველესი მიზანია აჭარისწყლის პროექტის მშენებლობის საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებების თავიდან აცილება, შერბილება და

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

მინიმუმამდე დაყვანა მრეწველობის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და უზრუნველყოს სხვადასხვა შემარბილებელი ზომების განხორციელება, რომლებიც დადგენილია პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებაში (ESIA) და გარემოსდაცვით და სოციალურ სამენეჯმენტო გეგმაში (ESMP).

ეს ყოვლისმომცველი CEMP იძლევა ხელმძღვანელობას გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის მიდგომაზე, რომელიც უნდა იყოს მიღებული AGL-ს (და მისი წარმომადგენლის მფლობელის ინჟინრის, შემდგომში –OE), მისი კონტრაქტორ(ებ)ის და სუბკონტრაქტორების მიერ პროექტის მშენებლობის ფაზაში. მას ემატება სხვადასხვა ქვეგეგმები და პროცედურები, დამუშავებული, რათა მოვახდინოთ რეაგირება ESIA პროცესში დადგენილ საკვანძო გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებზე, რომლებისთვისაც დადგენილია კონტროლის დაწვრილებითი პროცედურები და დაკავშირებული პასუხისმგებლობები, განსახორციელებელი AGL/OE-ს და მისი კონტრაქტორების მიერ. ეს გარემოსდაცვითი და სოციალური ქვეგეგმები იქნა მომზადებული როგორც ცალკეული დამოუკიდებელი დოკუმენტები.

პროცესი, ჩამოყალიბებული ყოვლისმომცველ CEMP-ში, თანდართული ქვეგეგმებთან ერთად ქმნიან გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის (ESMS) საფუძველს, რომელიც უნდა განხორციელდეს AGL/OE-ის, მისი კონტრაქტორების და მათი სუბკონტრაქტორების მიერ პროექტის მშენებლობის ფაზაში

AGL/OE-ს პასუხისმგებლობაა CEMP-ის და ქვეგეგმები მოთხოვნების განხორციელება მშენებლობის ფაზაში და მისი კონტრაქტორების საქმიანობის მონიტორინგი, რათა უზრუნველყოს, რომ ისინი შეეასაბამებინ CEMP-ის სათანადო მოთხოვნებს. კონტრაქტორები პასუხისმგებელნია მათი საკუთარი მართვის გეგმების ან პროცედურების დამუსავებაზე და განხორციელებაზე CEMP-ის და ქვეგეგმების მოთხოვნების თანახმად, როგორც მათი საკუთარი გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების (EHS) მართვის სისტემის ნაწილი.

CEMP გამოიყენება ყველა საქმიანობის მიმართ, რომელიც ხორციელდება პროექტის მშენებლობის ფაზაში და შეჯამებულია სურათზე 1.1 ქვემოთ.

AGL-ს გარემოსდაცვითი პოლიტიკა	ESIA/ESMP	ეროვნული/საერთაშორისო მოთხოვნები
	მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა (CEMP)	
CEMP-ის ქვეგეგმები:		CEMP-ს სხვა საბუთები

<p>CEMP01– კულტურული მემკვიდრეობის შემთხვევითი აღმოჩენის პროცედურა CEMP02–ეკოლოგიური სამენეჯმენტო გეგმა CEMP03– მუშების საცხოვრებლად განთავსების გეგმა CEMP04– დაღვრის თავიდან ცილება და ქიმიკატების შენახვის გეგმა CEMP05– ჰაერის ხარისხის სამენეჯმენტო გეგმა CEMP06 – ხმაურის სამენეჯმენტო გეგმა CEMP07– მოძრაობის სამენეჯმენტო გეგმა CEMP08– პერსონალის უკმაყოფილების გეგმა CEMP09– ნარჩენების სამენეჯმენტო გეგმა CEMP10– ეროზიის და ნატანის კონტროლის გეგმა CEMP11– წყლის რესურსები და წყლის ხარისხის გეგმა CEMP12– საავარიო სიტუაციებისადმი მზადყოფნა და რეაგირება</p>	<p>– დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობის გეგმა – საზოგადოების უკმაყოფილების მექანიზმი</p>
-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------

სურათი 1.1: CEMP–ის სტრუქტურა

1.2 მოქმედების სფერო

CEMP–ში მოხაზული მოთხოვნები გამოსადეგია ყველა საქმიანობის მიმართ, რომლებიც ხორციელდება პროექტის მშენებლობის ფაზაში, და უნდა იყვნენ მიღებული ამ პროექტის ყველა კომპონენტში. ესენი შეიცავენ:

- დროებითი და მუდმივი მისასვლელი გზები;
- მთხრებლების დამუშავება ინერტული მასალების და სხვა საწყისი მასალებისთვის;
- პროექტის ყველა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ელექტროსადგურები, კაშხლები, წყალსაცავები, წყალმიმღები ნაგებობები, გვირაბები და სხვა.
- პროექტთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა, როგორცაა ჩამდინარე წყლის დამუშავება, სუფთა წყლით მომარაგება, გადამცემი ხაზები; მუშების დროებითი განთავსება, სახელოსნოები და შენახვის ადგილები;
- დროებითი განლაგების, შენახვის ადგილები, სამუშაო მოედნები კაშხალზე და ელექტროსადგურის შენობაში;
- სამშენებლო მოედნის მოთხოვნები, როგორცაა კომუნალური სამსახურები და ოფისები;

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

- ამოღებული გრუნტის დროებითი და მუდმივი განთავსების ადგილები, რომლებიც საჭიროა გვირაბებიდან ამოთხრილი მასალის მნიშვნელოვანი მოცულობებისთვის;
- სადოზირებელი დანადგარები ბეტონის წარმოებისათვის საძირკვლს სამუშაოებისთვის; და
- დაკავშირებული ტრანსპორტის მოძრაობა.

1.3 გავრცელება და მიმოხილვა

AGL/OE დაუზღავნის ამ CEMP-ს კონტროლირებად ასლებს ყველა კონტრაქტორს და აჭარისწყლის პროექტის ყველა მთავარ სამშენებლო მოედნის ოფისს განსახორციელებლად.

CEMP-ს კონტროლირებადი ასლი იქნება შენახული ცენტრალიზებულად AGL-ის მთავარ ოფისში ბათუმში.

CEMP-ს მიმოხილვა მოხდება AGL/OE-ს მიერ მინიმუმ წელიწადში ერთხელ და პროექტის საქმიანობაში ნებისმიერი დიდი ცვლილების შემდეგ, რათა უზრუნველყოს, რომ მოთხოვნების და პასუხისმგებლობებს ჩარჩოები, რომლებსაც შეიცავს გეგმა, გამოსადეგია და საკმარისად ინკორპორირებულ.

2. CEMP

2.1 შესავალი

ეს ყოვლისმომცველი CEMP ადგენს მთლიან გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის მიდგომას პროექტის მშენებლობის ფაზაში. ის ემყარება სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) სტანდარტის 14001: 2004 საკვანძო პრინციპებს გარემოსდაცვითი მართვის სისტემისთვის (EMS), თუმცა სერტიფიცირებული EMS-ს დამუშავება იქნება განხილული მხოლოდ ექსპლუატაციის ფაზისთვის. როგორც მთლიანი პროექტის EHS მართვის სისტემის განუყოფელი ნაწილი, CEMP იძლევა გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების განსაზღვრის, დაგეგმვის, მიღწევის, დაცვის, დოკუმენტირების და, როდესაც შესაძლებელია, გაუმჯობესების საშუალებას.

ეს CEMP განსაზღვრავს პროექტის გარემოსდაცვით მიზნებს, აღწერს AGL/OE და მისი კონტრაქტორის ვალდებულებებს გარემოსდაცვითი მართვის მიმართ და

უზრუნველყოფს ხელმძღვანელობას თანმიმდევრულ მიდგომაზე გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების და ზემოქმედებების მართვისათვის მშენებლობის ფაზაში.

CEMP იღებს მხედველობაში შემდეგს:

- პროექტის სამუშაოების მოცულობის ზომასა და სირთულეს;
- ყველა გამოსაყენებელ კანონს, სტატუტს და რეგულაციას;
- ყველა გამოსაყენებელ საერთაშორისო მოთხოვნებს, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქმიანობის სტანდარტებს სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობისთვის;
- შერბილებების მოთხოვნებს, ჩამოყალიბებულს პროექტის ESIA-ში და ESMP-ში;
- AGL გარემოს დაცვის და მესამე მხარის ურთიერთობებს;
- რისკ-ფაქტორებს, რომლებსაც შეიძლება წავაწყდეთ პროექტის მშენებლობის დროს; და
- გარემოსდაცვითი და სოციალური მახასიათებლების უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპს.

2.2 გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის სტრუქტურა

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა (ESMS) ადგენს, თუ რა უნდა გააკეთოს ორგანიზაციამ, რათა შეესაბამოს თავის გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციალურ მიზნებსა და მოვალეობებს. ეს CEMP დაწვრილებით აღწერს AGL ESMS სტრუქტურას, როგორც ნაჩვენებია სურათზე 2.1 ქვემოთ, რომელიც ორგანიზებულია ეტაპობრივ პროცესებად:

- **პოლიტიკა** - AGL დოკუმენტურად აფორმებს ვალდებულებას, რომელიც ეხება გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობას;
- **დაგეგმვა** - საქმიანობის კრიტერიუმების (მიზნების და ამოცანების) დამუშავება გარემოსდაცვითი მართვისათვის და პასუხისმგებლობების, სტრატეგიების, გეგმებისა და პროცედურების დამუშავება, რათა შეესაბამოს განსაზღვრულ მიზნებს;
- **განხორციელება** - ახორციელებს ქვეგეგმებსა და პროცედურებს, ატარებს თანამშრომელთა და კონტრაქტორების ტრენინგს და აწარმოებს ჩანაწერებს, სისტემის მუშაობის სადემონსტრაციოდ;
- **შემოწმება/კორექტივების შეტანა** - ქვეგეგმების და პროცედურების მონიტორინგის განხორციელება, რათა უზრუნველყოს მათი ეფექტურობა, და ESMS კომპონენტების განახლება, როგორც საჭიროა, ოპერაციების, პერსონალის, რისკების ან მოთხოვნების ცვლილებისას; და
- **მართვის მიმოხილვა** - AGL/OE მართვის გუნდის მიერ პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის რეგულარული მიმოხილვა .

1. მართვის მიმოხილვა — 2. პოლიტიკა — 3. დაგეგმვა — 4. განხორციელება — 5. შემოწმება, მაკორექტირებელი ქმედება — 1.

სურათი 2.1: ESMS სტრუქტურა

შემდეგი ქვეთავები აღწერენ, თუ როგორ იქნება განხორციელებული ამ ESMS თითოეული საფეხური AGL/OE-ს და მისი კონტრაქტორების მიერ პროექტის მშენებლობის ფაზაში, იმის მითითებით, როგორც საჭიროა, სად CEMP-ში განსაზღვრულია დაკავშირებული მოთხოვნების მომდევნო დეტალები.

2.2.1 AGL გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა

ეს პოლიტიკა აყალიბებს ჩვენი როგორც დეველოპერის ვალდებულებებს და პასუხისმგებლობებს ჩვენ პროექტებში გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის მისაღწევად. AGL-ს სჯერა, რომ მდგრადი განვითარება საღი ბიზნეს-პრაქტიკის ფუნდამენტური ასპექტია და ამატებს ღირებულებას მის საქმიანობას ხანგძლივ მდგრადობაზე მუშაობით ეფექტური გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის მეშვეობით. AGL კორპორატიული გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და დაინტერესებულ პირებთან ურთერთობის პრინციპების ერთგულია.

AGL-სთვის პრიორიტეტულია ისეთი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები, როგორც კლიმატის ცვლილების შერბილება და ადაპტაცია, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, ენერჯის და რესურსების ეფექტურობა, სიღარიბის შემსუბუქება, სათანადო სამუშაო პრაქტიკის ხელშეწყობა, სოციალური გამორიყვის შემსუბუქება და საბაზო მომსახურების მისაწვდომობა, გენდერული თანასწორობა და სოციალური განვითარება. AGL-ს მიერ წამოწყებული ყოველ პროექტი მოუტანს სარგებლობას იმ მოსახლეობას, რომლებზეც პროექტი ზემოქმედებას მოახდენს.

AGL როგორც მინიმუმი:

- შეესაბამება ან აღემატება ყველა გამოსადეგ ეროვნულ კანონსა და რეგულაციას;
- მინიმუმამდე დაიყვანს გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებებს და განუწყვეტლივ გააუმჯობესებს გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობას, როგორც ჩვენი საოპერაციო სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს;
- პატივს სცემს ჩვენს დაინტერესებულ პირებს, გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობას;

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

- შევა კონსტრუქციულ კონტაქტში ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობასთან და სხვა დაინტერესებულ პიებთან და მოახდენს სწრაფ რეაგირებას ამ პოლიტიკის ნებისმიერ დარღვევასთან დაკავშირებულ საჩივრებზე;
- უზრუნველყოფს თანამშრომლების და კონტრაქტორების მიერ ამ პოლიტიკის გაგებას და შესაბამისობას იმ მაღალი სტანდარტების, რასაც ის მოითხოვს; და
- დაუყოვნებლივ ჩაერევა სახიფათო ან შეუსაბამო სიტუაციებში.

გარდა ამისა, AGL აქტიურად ცდილობს:

- უზრუნველყოს, რომ მისი საქმიანობა კარგი საერთაშორისო სამრეწველო პრაქტიკის მიმდევარია გარემოს დაცვაში, სოციალური და ადამიანური რესურსების მართვაში, მათ შორის IFC-ის საქმიანობის სტანდარტების და EHS დირექტივების; და
- შეიტანოს წვლილი რელევანტური პრინციპების და პრაქტიკის კოდექსების ეფექტურ განხორციელებაში, რომლებიც ეხება გარემოს, მუშახელს, კორპორატიულ პასუხისმგებლობას და ინფორმაციის მისაწვდომობას.

AGL დაამუშავებს და წარმართავს ISO 14001-ტიპის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემას, რომელიც იძლევა პროცედურებს და ინსტრუმენტებს ამ პოლიტიკის განსახორციელებლად.

AGL-ს მთავარი მენეჯერის სრული პასუხისმგებლობაა ყველა გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობასთან. ამ პოლიტიკის ფუნქციონირება და დაკავშირებული პროცედურების მონიტორინგი და მიმოხილვა მოხდება რეულარულად, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ისინი რჩება მიმდინარე და გამოსადეგი კომპანიის საქმიანობისადმი. ეს პოლიტიკა მოწონებულია CEG-ის საბჭოს მიერ და მმართველი გუნდის მიერ, რომლებმაც გამოხატეს სრული მხარდაჭერა მის განხორციელებას. ეს პოლიტიკა ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის საიტზე www.cleanenergygroup.no.

ხელმოწერილი _____

თარიღი: 2012 წლის ივლისი

2.2.2 დაგეგმვა

2.2.2.1 პროექტის ზემოქმედებების, მიზნების და სამენეჯმენტო გეგმების /პროცედურების განსაზღვრა

სამშენებლო მოედნის მომზადების და მშენებლობის ფაზაში არის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებების წარმოქმნის პოტენციალი. მშენებლობის ფაზის

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

რელევანტური ტიპიური საქმიანობა შეიცავს სხვებთან ერთად ზემოქმედებებს გარემოზე, რომლებიც დაკავშირებულია ნარჩენების წარმოქმნასთან და განთავსებასთან, აქროლად მტვერთან, ხმაურთან, ჩამდინარე წყლების ჩაშვებასთან, პოტენციურ ქიმიურ დაღვრასთან, ეკოლოგიური ბალანსის დარღვევასთან, ეროზიასთან და მოძრაობასთან. გარდა ამისა, სათანადო ზომების გატარებაა საჭირო მუშების და მენეჯმენტის კარგი ურთიერთობის და პირობების უზრუნველსაყოფად, და პროექტის ტერიტორიაზე მოსახლეობის ცხოვრების დონის დასაცავად და გასაუმჯობესებლად.

პროექტის ESIA და ESMP განსაზღვრავენ საკვანძო გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებს და ზემოქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია პროექტის მშენებლობის ფაზასთან, საჭირო შემარბილებელ და მონიტორინგის ზომებთან ერთად ამ ზემოქმედებების მართვისათვის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტების და მოთხოვნების თანახმად.

ეს ESIA და ESMP მოთხოვნები, მრეწველობის საუკეთესო პრაქტიკის ზომების დამატებით, ქმნიან საკონტროლო ზომების და დაკავშირებული პასუხისმგებლობების საფუძველს, რომლებიც განსაზღვრულია CEMP-ში და დაკავშირებულ ქვეგეგმებში და პროცედურებში, როგორც შეჯამებულია სურათზე 2.1. პროექტის მთავარი მიზანია პროექტის ყველა სამშენებლო საქმიანობის შესაბამისობა CEMP-ის და ქვეგეგმების მოთხოვნებთან. AGL/OE პასუხისმგებელია მშენებლობის ფაზაში CEMP-თან და ქვეგეგმებთან პროექტის შესაბამისობის საერთო სტატუსის მონიტორინგზე და მოხსენებაზე, საქმიანობის საკვანძო მიზნების და ინდიკატორების მიღებით.

კონტრაქტორები პასუხისმგებელია მათი საკუთარი სამენეჯმენტო გეგმების და/ან პროცედურების დამუშავებაზე და შესრულებაზე CEMP-ის და ქვეგეგმების მოთხოვნების შესაბამისად, როგორც მათი საკუთარი EHS მართვის სისტემის ნაწილის. ყველა კონტრაქტორის გარემოსდაცვითი და სოციალური განხორციელების გეგმები / პროცედურები პროექტის ყოველი ეტაპისთვის უნდა დასრულდეს და მიეწოდოს AGL/OE-ს საქმიანობის დაწყებამდე მინიმუმ ოთხი კვირით ადრე, რათა AGL/OE ქონდეს საკმარისი დრო ამ საბუთების განხილვის და დამტკიცებისთვის. კონტრაქტორის მეთოდის აღწერა და სამუშაო ინსტრუქციები აგრეთვე ქმნიან სამშენებლო მოედანზე სამშენებლო სამუშაოების კონტროლის საფუძველს.

AGL-ის განუწყვეტელი გაუმჯობესების პოლიტიკის მისაღწევად, პროექტის მიზნები და საქმიანობის ამოცანები განიხილება და დადგინდება სულ ცოტა ყოველწლიურად AGL მიერ ან საჭიროებისამებრ პროექტის საქმიანობაში ნებისმიერი დიდი ცვლილების შემდეგ ან მშენებლობის ფაზაში რაიმე დიდი დაუცველობის დადგენის შემთხვევაში.

2.2.2.2 სამართლებრივი და სხვა მოთხოვნები

სამართლებრივი და სხვა მოთხოვნების განსაზღვრა, რომლებსაც შეუძლია იმოქმედოს პროექტის საქმიანობაზე მშენებლობის ფაზაში ESMS-ის საკვანძო ეტაპია. პროექტის სამართლებრივი სტრუქტურა აღწერილია ამ ყოვლისმომცველი CEMP-ის 3 კარში. AGL/OE აწარმოებს სამართლებრივი მოთხოვნების ნებისმიერი ცვლილებების მონიტორინგს და კონტრაქტორები იქნებიან ინფორმირებული ამ ცვლილებებზე. კონტრაქტორების პასუხისმგებლობაა აგრეთვე აწარმოონ ნებისმიერი ცვლილებების მონიტორინგი სამართლებრივ მოთხოვნებში, რამდენადაც ისინი ეხება საქმიანობას მათი კონტროლის ქვეშ და მოახდინონ მათი მმართველობის კონტროლის ადაპტაცია საჭიროებისამებრ, რათა ამ ცვლილებებზე რეაგირება მოახდინონ.

OE-ს მენეჯერის გარემოს დაცვაში (გაეცანით 5 თავში AGL/OE საორგანიზაციო სტრუქტურის აღწერას და სხვადასხვა როლებს და პასუხისმგებლობებს) უპირველესი პასუხისმგებლობაა თვალი მიადევნოს და დოკუმენტურად გააფორმოს ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების ნებისმიერი გამოსაყენებელი ცვლილებები, აგრეთვე რეგულატორების მიერ გამოშვებული გარემოსდაცვითი ნებართვის მოთხოვნების განსაზღვრა და მონიტორინგი. OE მენეჯერმა გარემოს დაცვაში უნდა დააგზავნოს ამ მოთხოვნების რეზიუმეები და ყოველი სავარაუდო ან შეთავაზებული სარეგულაციო ცვლილების პოტენციური გამოყენებადობა პროექტის საქმიანობაში. AGL-ის EHS მენეჯერმა და OE მთავარმა ინჟინერმა უნდა მიმოიხილონ ეს ინფორმაცია და გაუგზავნონ თავისი აზრი ან კითხვები გარემოს დაცვის მენეჯერს, როგორც საჭიროა.

AGL/OE განუწყვეტლივ მოახდენს გარემოსდაცვითი საქმიანობის მონიტორინგს მშენებლობის ფაზაში, რათა დაადასტუროს თანხმობა სამართლებრივ და სხვა მოთხოვნებთან. ეს იქნება ჩართული როგორც პროექტის საქმიანობის საკვანძო ინდიკატორი.

2.2.2.3 ცვლილების მართვა

იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებები იყოს განსაზღვრული და მართვადი მთელი მშენებლობის ფაზის განმავლობაში, გარემოსდაცვითი მიმოხილვები იქნება შესრულებული ნებისმიერი ახალი ან მოდიფიცირებული პროცესის ან საქმიანობის შემოღებამდე, რომლებსაც შეუძლიათ მოახდინონ ზემოქმედება გარემოზე ან ადგილობრივ მოსახლეობაზე. ამ მიმოხილვას ჩაატარებს OE-ს გარემოს დაცვის მენეჯერი და/ან კონტრაქტორები იმის დასადგენად, წარმოქმნის თუ არა შემოთავაზებული ცვლილება რაიმე ახალ გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებს და იქნება თუ არა საჭირო ნებისმიერი დამატებითი შემარბილებელი ზომები ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობისათვის. ამ მიმოხილვას ინიცირებს ისეთი ცვლილებები, როგორიცაა:

- ახალი მასალების ან აღჭურვილობის ყიდვა;

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

- პროცესის ცვლილებები;
- აღჭურვილობის და ტექნიკის ხელახალი კონსტრუირება; და
- სამშენებლო პროცედურების მოდიფიცირება ან ახალის შემოღება.

2.2.2.4 CEMP გეგმების და პროცედურების მიმოხილვა და განახლება

OE გარემოს დაცვის მენეჯერი უზრუნველყოფს, რომ CEMP და ქვეგეგმები, პროცედურები და ინსტრუქციები პერიოდულად მიმოხილვას რათა უზრუნველყოს, რომ ისინი რჩება მიმდინარე და ძალის მქონე. AGL-ის EHS მენეჯერის ერთპიროვნული კომპეტენციაა გამოუშვას ახალი ან ცვლილებები შეიტანოს არსებულ სამენეჯმენტო გეგმებში და პროცედურებში. ამის შედეგად OE გარემოს დაცვის მენეჯერს ექნება კავშირი AGL-ის EHS მენეჯერთან, რათა შეასწოროს ან შემოიღოს ახალი გარემოსდაცვითი საოპერაციო სტანდარტები, როგორც საჭიროა.

CEMP-ს პოლიტიკა, გეგმები და პროცედურები იქნება მიმოხილული, სულ ცოტა ყოველწლიურად, ან პროექტის საქმიანობაში ნებისმიერი დიდი ცვლილების წინ.

2.2.3 განხორციელება

2.2.3.1 სტრუქტურა და პასუხისმგებლობა

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის მიდგომის საკვანძო ელემენტია პროექტის პერსონალის როლების, პასუხისმგებლობის, კომპეტენციის და ანგარიშშედეგების სათანადო განსაზღვრა (AGL/OE და კონტრაქტორების ჩათვლით). AGL/OE-ს პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს CEMP-ს ეფექტური განხორციელება შემდეგის მეშვეობით:

- ადეკვატური რესურსების უზრუნველყოფა;
- ინდივიდუალური როლების და პასუხისმგებლობების დოკუმენტირება და კომუნიკაცია; და
- მკაფიო მენეჯერული ანგარიშვალდებულების დადგენა გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობისთვის.

ამ CEMP-ის 4 კარი აღწერს საორგანიზაციო სტრუქტურას და ანგარიშვალდებულებას პროექტის მშენებლობის ფაზისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვასთან მიმართებაში. შემდეგ კარი 5 აღწერს AGL/OE-ს და მისი კონტრაქტორ(ებ)ის საკვანძო როლებს და დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური გარემოსდაცვითი და სოციალური მართვა მშენებლობის ფაზაში.

2.2.3.2 ტრენინგი, ინფორმირებულობა და კომპეტენცია

AGL/OE პერსონალი და ნებისმიერი ჩართული კონტრაქტორების პერსონალი შეასრულებს ტრენინგის პროგრამას მშენებლობის ფაზისთვის. ეს ტრენინგის პროგრამა შეიცავს გარემოსდაცვით და სოციალურ შესავალ ტრენინგს პროექტის ყველა პერსონალისთვის, დამატებით სპეციალურ ტრენინგს იმ პირებისთვის, ვინც ჩართულია განსაკუთრებულ ამოცანებში ან აქვთ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, საჭიროებისამებრ კვალიფიკაციის ამაღლებას და სამუშაო ადგილზე უწყვეტ ინსტრუქტაჟებს უსაფრთხოების ტექნიკაში მშენებლობის ფაზაში. კონტრაქტორები პასუხისმგებელია იმის უზრუნველყოფაზე, რომ მთელი მათი პერსონალი ინფორმირებულია მათ გარემოსდაცვით და სოციალურ პასუხისმგებლობაზე.

დამატებითი დეტალები პროექტის ტრენინგის პროგრამაზე განსაზღვრულია ამ CEMP-ის 6 კარში.

2.2.3.3 ურთიერთობა

შიდა ურთიერთობები AGL-ის შიგნით, ისეთი როგორცაა ურთიერთობები AGL-ის, OE-ს და კონტრაქტორებს შორის; და გარე ურთიერთობები, ისეთი როგორცაა AGL-სა და ხელისუფლებას, მიმწოდებლებსა და კონტრაქტორებს შორის სათანადოდ უნდა იმართებოდეს, რათა უზრუნველყოს ESMS-ის ეფექტური ფუნქციონირება. AGL დაადგენს და აწარმოებს პროგრამებს და სხვა ფორმალურ მექანიზმებს შიდა და გარე ურთიერთობისთვის, მისი გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების, ESMS და საზოგადოების ინიციატივების მიმართ.

დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობის გეგმა იქნება გამოყენებული მის დაინტერესებულ პირებთან პროექტთან დაკავშირებული ყველა კომუნიკაციის განხორციელების და კონტროლისათვის.

შიდა ურთიერთობები

OE გარემოს დაცვის მენეჯერი პასუხისმგებელია შიდა ურთიერთობის დაგეგმვაზე და განხორციელებაზე, რაც ეხება გარემოსდაცვით საკითხებს მთელს პროექტში. AGL-ის საზოგადოებასთან კავშირის ოფიცერი იქნება პასუხისმგებელი სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ შიდა კომუნიკაციის დაგეგმვაზე და განხორციელებაზე.

შიდა ურთიერთობის პირველი მიზანი პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე – შემდეგის მიღწევაა:

- გარემოსდაცვითი და სოციალური ინფორმირებულობის ხელშეწყობა;
- მუშაკთა გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობების გაძლიერება;

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

- მუშაკების და კონტრაქტორების ინფორმირება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებზე და პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებსა და მოთხოვნებზე;
- გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის დაკავშირება;
- საუკეთესო პრაქტიკის და საერთო პრობლემების/გადაწყვეტების გაზიარება; და
- უკუკავშირის შუამდგომლობა გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხებზე.

AGL საზოგადოებასთან კავშირის ოფიცერი იმუშავებს OE გარემოს დაცვის მენეჯერთან, რათა გააძლიეროს კომუნიკაციის ამ მეთოდების ეფექტურობა და დაადგინოს ახალი მეთოდები, სადაც საჭიროა.

გარე ურთიერთობები

მშენებლობის ფაზაში გარე ურთიერთობების უპირველესი დანიშნულებაა მთავარი გარე დაინტერესებული პირების ინფორმირება პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობაზე და მიმდინარე გარემოსდაცვით ან სოციალურ ინიციატივებზე. ესენი შეიცავენ:

- საზოგადოების განათლებას პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტებზე, რათა მოიწონონ სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მთავარი საკითხები;
- ადგილობრივ მოსახლეობის ინფორმირებას მშენებლობის ნებისმიერ მომავალ საკვანძო საქმიანობაზე;
- ანგარიშის შედგენა პროექტის გარემოსდაცვით საქმიანობაზე, როგორც მოითხოვება რეგულატორების მიერ და რეგულატორების ინფორმირება რაიმე შემთხვევებზე გარემოსდაცვითი დაუცველობაზე და მაკორექტირებელ ქმედებებზე, განხორციელებულს რაიმე რეციდივის თავიდან ასაცილებლად; და
- კრედიტორებისთვის რეგულარული (კვარტალური) ანგარიშების მიწოდება EHS მსვლელობაზე.

დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობის გეგმა¹ განსაზღვრავს საკონსულტაციო მიდგომას და მეთოდებს პროექტისთვის მშენებლობის ფაზაში და შეიცავს გარე შეკითხვების და/ან საზოგადოების უკმაყოფილების მიღების, დოკუმენტურად გაფორმების და რეაგირების მექანიზმს.

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული არავითარი ინფორმაცია არ გაიგზავნება რეგულატორთან ან კრედიტორებთან AGL-ის EHS მენეჯერის წინასწარი თანხმობის გარეშე.

¹ დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობის გეგმა (SEP) მომზადდა როგორც პროექტი ESIA დოკუმენტაციის ნაწილი, SEP-ის ასლები ინახება ცენტალიზებულად AGL-ის სათავო ოფისში ბათუმში.

განცხადებების დაფები

ყოველი სამშენებლო მოედნის მთავარ შესასვლელთან, კონტრაქტორები AGL/OE-თან შეთანხმებით აღმართავენ განცხადებების დაფებს / ფირნიშებს. განცხადებების დაფებზე იქნება შემდეგი ინფორმაცია:

- AGL/OE და კონტრაქტორ(ებ)ის გვარები, საკონტაქტო ტელეფონის ნომრები და საკონტაქტო პერსონალის გვარები, რაც უზრუნველყოფს 24-საათიანი რეაგირების ხელმისაწვდომობას გარეშე საჩივრებზე/ საავარიო კონტაქტზე;
- AGL-ის ჯანდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის და გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის ასლები, და
- დევიზი ან ფრაზა, რომელიც აუწყებს ყველას, ვინც შედის სამშენებლო მოედანზე ან გადის იქიდან ან მას გაუვლის პროექტის ერთგულეობაზე პერსონალის EHS-ზე, როგორც სამუშაო ადგილზე, ასევე მის გარეთ.

EHS განცხადებების დაფები აგრეთვე იქნება აღმართული თვალში საცემ ადგილას სამშენებლო მოედნის ოფისთან და საცხოვრებელ ადგილთან. განცხადებების დაფები იქნება გამოყენებული ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ინფორმირებულობა ბიულეტენებისთვის და ჯანდაცვის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი მიმდინარე საკითხების /დაუცველობისათვის.

მთელი ინფორმაცია EHS-ზე იქნება ხელმისაწვდომი ყველა რელევანტურ ენაზე მშენებლობის ფაზის სამშენებლო მოედნებზე მომუშავე მუშებისთვის.

კონტრაქტორთან ურთიერთობა

AGL/OE-ს და კონტრაქტორი ურთიერთობა იქნება განხორციელებული როგორც სათავო ოფისში ბათუმში, ასევე სამშენებლო მოედნის დონეზე. კონტრაქტორის სამშენებლო მოედნის მენეჯერის პასუხისმგებლობაა ურთიერთობა პროექტის მმართველ გუნდთან, რომელიც განლაგებულია AGL-ის სათავო ოფისში ბათუმში.

სამშენებლო მოედნის დონეზე საკვანძო ურთიერთობა AGL/OE-ს და კონტრაქტორს შორის იქნება OE გარემოს დაცვის მენეჯერსა და კონტრაქტორის სამშენებლო მოედნის მენეჯერს შორის.

საჩივარები ან უკმაყოფილება

დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობის გეგმა შეიცავს პროცედურებს, რომლებიც ეხება საჩივრების მიღებას და პროექტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის და ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირების შეშფოთების საკითხებზე რეაგირებას. ეს მექანიზმები მიმართულია:

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

- პროექტზე ინფორმაციის გავრცელებაზე;
- საჩივრების მიღების პროცედურებზე მშენებლობის დროს;
- საჩივრებზე სწრაფი რეაგირების პროცედურებზე მშენებლობის დროს; და
- AGL/OE-ს და მის კონტრაქტორებს შორის კოორდინაციაზე საჩივრების მიღების და მათზე რეაგირების მიმართ.

დანარჩენი დეტალები, რაც ეხება პროექტთან დაკავშირებულ უკმაყოფილებას /საჩივრების პროცედურას, აღწერილია ამ CEMP-ის 9 კარში.

2.2.3.4 საავარიო სიტუაციები და საგანგებო გეგმები

CEMP შეიცავს შემდეგ სპეციფიკურ ქვეგეგმებს, რომლებიც იქნება განხორციელებული AGL/OE-ს და მისი კონტრაქტორების მიერ მშენებლობის ფაზაში, რათა მოხდეს რეაგირება შესაძლო საავარიო სიტუაციებზე პროექტის მშენებლობის ფაზაში:

- დაღვრის თავიდან აცილება და ქიმიკატების შენახვის გეგმა; და
- საავარიო სიტუაციებისათვის მზადყოფნა და მათზე რეაგირების გეგმა.

2.2.4 შემოწმება და მაკორექტირებელი ზომები

2.2.4.1 მონიტორინგი და გაზომვა

მონიტორინგი ESMS-ის განუყოფელი ნაწილია, რადგან ის ადგენს თუ როგორია პროექტის საქმიანობა CEMP-ს მოთხოვნების და ნებისმიერი დაკავშირებული მიზნების და ამოცანების ფონზე. AGL/OE და მისი კონტრაქტორები აჩვენებენ, თუ როგორ შეესაბამებიან პროექტის CEMP-ის მოთხოვნებს. მონიტორინგის საკვანძო ამოცანები იქნება წამოწყებული AGL/OE-ს და მისი კონტრაქტორის მიერ რათა:

- განსაზღვრონ მშენებლობის ფაზის ნებისმიერი ნეგატიური ზემოქმედებები;
- შეაფასონ საკონტროლო ზომების ეფექტურობა;
- აჩვენონ CEMP-სა და მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობა;
- განსაზღვრონ არის თუ არა საჭირო შემდეგი საკონტროლო/მაკორექტირებელი ქმედებები; და
- განსაზღვრონ გარემოსდაცვითი ან სოციალური საქმიანობის პოტენციური გაუმჯობესების ნებისმიერი სფეროები.

შემდეგი ოთხსაფეხურიანი მიდგომა იქნება გამოყენებული პროექტის საქმიანობის მონიტორინგის მიმართ:

- **სამშენებლო მოედნებზე ტურები** - ესენი იქნება ძირითადად სამშენებლო მოედნის ყოველდღიური „შემოვლები“ კონტრაქტორების ოფიცრების და AGL-ის EHS ოფიცრების გარემოს დაცვაში;

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

- **სამშენებლო მოედნის ინსპექცია** - ჩატარდება ყოველკვირეულად კონტრაქტორის გარემოს დაცვის ოფიცრის და OE გარემოს დაცვის მენეჯერის მიერ (აგრეთვე EHS ოფიცრის), რათა შეამოწმონ სამშენებლო მოედნის საქმიანობა დაგეგმილ ნუსხასთან შედარებით;
- **აუდიტი** - OE გარემოსდაცვითი მენეჯერი ჩატარებს CEMP და ქვეგეგმების განხორციელების მინიმუმ ყოველკვარტალურ შიდა აუდიტს. კონტრაქტორი, რომლის მონიტორინგი ხორციელდება, იქნება წარმოდგენილი კონტრაქტორის გარემოსდაცვითი ოფიცრით ან EHS მენეჯერით. გარდა ამისა, დამოუკიდებელი გარე აუდიტები ჩატარდება 6 თვეში ერთხელ; და
- **გარემოსდაცვითი მონიტორინგი ს პროგრამა** - ისეთი საკვანძო გარემოსდაცვითი პირობების მონიტორინგი, როგორცაა ჰაერის ხარისხი, ხმაური და წყლის ხარისხი, განხორციელდება CEMP მშენებლობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის თანახმად.

მონიტორინგის მოთხოვნების შემდეგი დეტალები განსაზღვრულია ამ CEMP-ის 7 კარში.

2.2.4.2 დარღვევა და მაკორექტირებელი და პროფილაქტიკური ქმედებები

გარემოსდაცვითი ინსპექციით, მიმოხილვით ან აუდიტით დადგენილი დარღვევის ყველა სფერო იქნება გაფორმებული დოკუმენტურად და გამოკველული. დარღვევებით ითვლება; გადახრა AGL-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკიდან ან მის საფუძველში მდებარე მიზნებიდან და ამოცანებიდან, CEMP-ის მოთხოვნებიდან და ქვეგეგმებიდან / პროცედურებიდან გადახრა, და/ან სარეგულაციო დაუცველობა.

დაუცველობის შემთხვევაში მკაცრი ზომები გატარდება მართვის მარცხის შემთხვევაში და განხორციელდება სათანადო მაკორექტირებელი ქმედებები. ამ CEMP-ის 8 კარში აღწერილი დაუცველობის პროცედურა იქნება გამოყენებული დაუცველი პირობების იდენტიფიცირების და გადაწყვეტისათვის და იძლევა მექანიზმს, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ:

- AGL-ის EHS მენეჯერმა იცის პროექტის ნებისმიერი ადგილი, სადაც არის სერიოზული ან განმეორებადი დარღვევა;
- ყველა განსაზღვრული დარღვევებს ადეკვატურად მიეძღვნება თვალი, რათა უზრუნველყოფილი იყოს გამოყენებული მაკორექტირებელი ქმედებების ეფექტურობა;
- ყველა თვალ მიძღვნებული დარღვევების ლიკვიდირება ოფიციალურად ხდება, იმის საჩვენებლად, რომ მაკორექტირებელი ქმედების სათანადო დონე იქნა გამოყენებული, რათა გონივრულად უზრუნველყოს მსგავსი პრობლემის არგამეორება; და

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

- დარღვევები გაანალიზებულია სათანადო ინტერვალებში, რათა განისაზღვროს მთლიანი გაუმჯობესების შესაძლებლობები.

2.2.4.3 კომუნიკაციის ეფექტურობა

გარემოსდაცვითი და სოციალური ინსპექციების და აუდიტების შედეგები ეკოლოგიური ეფექტურობის ინდიკატორების და ავარიების/ინციდენტების სტატისტიკის დამატებით იქნება მოხსენებული AGL-ის EHS მენეჯერს ყოველთვიურად მთელი მშენებლობის ფაზაში ყოველთვიური EHS ანგარიშის სახით. ეს ანგარიში იქნება შედგენილი OE გარემოს დაცვის მენეჯერის მიერ სამშენებლო მოედნის ყოველკვირეული ინსპექციის, მონიტორინგის შედეგების და EHS ყოველკვირეული ანგარიშებისგან მშენებლობის ფაზაში. ანგარიშები წარედგენება AGL-ის EHS მენეჯერს, რათა ის განიხილოს OE გარემოს დაცვის მენეჯერმა.

კომპანიის გარეთ AGL-ის EHS მენეჯერი პასუხისმგებელია რეგულატორებს და დამფინანსებელ მხარეებსპროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობაზე ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდებაზე, კონტრაქტორები კი იქნება პასუხისმგებელი რეგულატორებისთვის ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდებაზე მათ კონტროლის ქვეშ მყოფი საქმიანობის ეფექტურობაზე.

ამ CEMP-ის კარი 10 შეიცავს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიშების მოთხოვნების შემდეგ დეტალებს.

2.2.4.4 ჩანაწერები

AGL/OE-მ და მისმა კონტრაქტორებმა უნდა შეინახონ სხვადასხვა ჩანაწერები, რათა აჩვენონ შესაბამისობა CEMP-თან. CEMP-ის ქვეგეგმები და პროცედურები აკონკრეტებენ სათანადო ჩანაწერების გაკეთების და წარმოების სპეციფიკურ მოთხოვნებს. ამაზე მსჯელობა შემდეგ ხდება ამ CEMP -ის 10 კარში.

2.2.5 მართვის მიმოხილვა

AGL/OE-ის EHS გუნდი გაანალიზებს მონაცემებს პროექტის საქმიანობაზე და განსაზღვრავს CEMP-ის გაუმჯობესების საკვანძო შესაძლებლობებს. მართვის მიმოხილვა მოხდება ყოველთვიურად მშენებლობის ფაზაში, რათა შეფასდეს მიმდინარე გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობა და აგრეთვე ყოველწლიურად, რათა შეფასდეს CEMP -ის მთლიანი ეფექტურობა.

ყველა რლევანტური ყოველთვიური EHS ანგარიშის წარდგენის შემდეგ AGL-ის HSE მენეჯერი მიმოიხილავს CEMP-ის ეფექტურობას. საკონტროლო პროცედურების

მიმოხილვა ასევე შეიძლება იყოს საჭირო ნებისმიერი დაუცველობის მოხსენების შემდეგ.

გარდა ამისა მართვის წლიური მიმოხილვა ჩატარდება AGL-ის EHS მენეჯერის მიერ ISO 14001-ის მოთხოვნების თანახმად, რათა უზრუნველყოს, რომ მშენებლობის ფაზა შეესაბამება გარემოსდაცვითი მართვის სათანადო სტანდარტებს. ეს მიმოხილვა შეიცავს შემდეგის განხილვას:

- აუდიტების შედეგების;
- რამდენად დაკმაყოფილებულია პოლიტიკა და პროექტის მიზნები და ამოცანები;
- პროექტის შესაბამისობას ეროვნულ სარეგულაციო მოთხოვნების და სხვების, მაგ., კრედიტორების მოთხოვნების;
- CEMP-ის მიმდინარე გამოსადეგობა ცვალებადი პირობების და ინფორმაციის მიმართ;
- რელევანტურ დაინტერესებული მხარეებში წამოწეული ნებისმიერი პრობლემის; და
- რამდენად დაკმაყოფილებულია ESMS-ის და ეკოლოგიური საქმიანობის განუწყვეტელი გაუმჯობესება.

პოლიტიკის, საქმიანობის მიზნების ან ზომების ცვლილების და/ან CEMP / ESMS-ის გაუმჯობესებების აუცილებლობა შეიძლება წარმოიქმნას ამ მართვის მიმოხილვის პროცესის და დაკვირვებების, დასკვნების და რეკომენდაციების შედეგად, რაც უნდა იყოს დოკუმენტურად გაფორმებული საჭირო ქმედებისთვის.

3. გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, წესები და დირექტივები

3.1 მიმოხილვა

AGL და მისი კონტრაქტორები და სუბკონტრაქტორები უნდა შეესაბამონ გამოსაყენებელ ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას და სტანდარტებს მშენებლობის ფაზის მთელი დროის განმავლობაში. CEMP და ქვეგეგმები იქნა დამუშავებული ისე, რომ მათში შევიდეს ასეთი გამოსაყენებელი სამართლებრივი და სხვა მოთხოვნები და გაუწიოს საჭირო საკონტროლო ზომების და პასუხისმგებლობის ხელმძღვანელობა, რაც საჭიროა ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სამართლებრივ და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებში ნებისმიერი ცვლილებების მონიტორინგი ხდება AGL-ის EHS მენეჯერის მიერ, რომელიც ატყობინებს შესაბამის დეპარტამენტებს და კონტრაქტორებს ამ ცვლილებებზე. კონტრაქტორების პასუხისმგებლობაა (ასევე როგორც AGL/OE მათი სამუშაოს ჩარჩოებში) მოახდინონ სამართლებრივ მოთხოვნებში ნებისმიერი ცვლილებების მონიტორინგი, რამდენადაც ისინი ეხება საქმიანობას მათ კონტროლ ქვეშ, და მოახდინონ მათი მართვის

კონტროლის ადაპტაცია საჭიროებისამებრ, რათა მოახდინონ რეაგირება ამ ცვლილებებზე.

3.2 ქვეყნის კანონმდებლობა

CEMP-ში განსაზღვრული ყველა ზომები და დაკავშირებულ ქვეგეგმები თანხმობაშია საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ყოველი ცალკეული ქვეგეგმა ხაზს უსვამს ეროვნულ მოთხოვნებს, სპეციფიკურს განსახილველი გარემოსდაცვითი ან სოციალური დისციპლინისთვის. კერძოდ, ქვეგეგმები შეიცავენ, სადაც გამოსადეგია, მოთხოვნებს:

- ქვეყნის კანონების;
- დირექტივების; და
- რეგულაციების.

თითოეული ქვეგეგმა ხაზს გაუსვამს ნებისმიერ სპეციფიკურ მოთხოვნებს, რომლებიც იქნა ჩამოყალიბებული მშენებლობის ნებართვაში, აგრეთვე ნებისმიერ ადგილობრივ მოთხოვნებს, დამყარებულს განხილვებზე აჭარის გარემოს დაცვის სააგენტოსთან. OE გარემოს დაცვის მენეჯერი აწარმოებს გარეშე დაინტერესებული პირებისთვის ყველა საჭირო შეტყობინებების უახლეს რეესტრს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით და განსაზღვრავს პასუხისმგებლობებს ასეთი შეტყობინებისთვის. კონტრაქტორის EHS მენეჯერის პასუხისმგებლობაში ასევე შედის მსგავსი რეესტრის წარმოება მისი კონტროლის ქვეშ მყოფი საქმიანობისთვის.

3.3 საერთაშორისო მოთხოვნები

ამ CEMP-ში და დაკავშირებულ ქვეგეგმებში განსაზღვრული ყველა ზომები შეესაბამებია საერთაშორისო სამშენებლო ხელმძღვანელობებს და იქნება შესრულებული შემდეგის თანახმად:

- საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC): პოლიტიკა და საქმიანობის სტანდარტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურ და გარემოსდაცვით მდგრადობას;
- IFC ზოგადი ხელმძღვანელი პრინციპები გარემოს დაცვაში, ჯანდაცვასა და უსაფრთხოებაში (EHS), 2007 წლის აპრილი, სადაც გამოსადეგია; და
- მიღებული საერთაშორისო კონვენციები და ოქმები.

თითოეული ცალკეული ქვეგეგმა აკონკრეტებს საკვანძო საერთაშორისო ხელმძღვანელობას, სპეციფიკურს სხვადასხვა გარემოსდაცვითი და სოციალური დისციპლინებისთვის.

4. საორგანიზაციო მიმოხილვა

4.1 მიმოხილვა

მშენებლობის ფაზისთვის, AGL/OE იღებს თავის თავზე მთლიანი პროექტის მართვის როლს და იქნება პასუხისმგებელი ყველა კონტრაქტორის და მშენებელი პერსონალის მართვაზე.

კონტრაქტორები და მათი სუბკონტრაქტორები იქნებიან პასუხისმგებელი მათი საკუთარი მართვის გეგმების ან პროცედურების განხორციელებაზე რელევანტური ეროვნული და საერთაშორისო მოთხოვნების თანახმად და ამ გეგმის მოთხოვნების თანახმად.

AGL/OE უზრუნველყოფს, რომ კონტრაქტორები დაიცვენ ამ გეგმაში აღწერილ ყველა პროცედურებს, და მოახდენენ საქმიანობის ზედამხედველობას სამშენებლო მოედნებზე რეგულარული ინსპექციების და მონიტორინგის მეშვეობით.

4.2 მშენებლობის EHS ორგანიზაცია

4.2.1 მიმოხილვა

მთავარი მხარეები და მათი უპირველესი როლები პროექტის EHS მართვაში შეჯამებულია შემდეგნაირად:

- AGL/OE - პასუხისმგებელია გარემოსდაცვით პოლიტიკასთან შესაბამისობის ზედამხედველობაზე და პროექტის მონიტორინგის შესაბამისობაზე და უზრუნველყოფს შესაბამისობას CEMP-ში ჩამოყალიბებულ ვალდებულებებთან მშენებლობის ფაზაში;
- კონტრაქტორები - პასუხისმგებელია სამშენებლო მოედნისთვის სპეციფიკური CEMP-ს განხორციელებაზე მათი საკუთარი EHS მართვის სისტემის მეშვეობით, რომელიც უნდა იყოს დამტკიცებული AGL-ის მიერ; და
- სუბკონტრაქტორები - პასუხისმგებელია იმაზე რომ დაიცვან კონტრაქტორის და AGL-ის მიერ ჩამოყალიბებული CEMP-ის მოთხოვნები და შეესაბამონ მათ.

4.2.2 AGL-ის EHS ორგანიზაცია

AGL/OE-ს EHS გუნდი ახორციელებს ზედამხედველობას და მართავს ყველა EHS საკითხს პროექტის მშენებლობის ფაზაში, ამ CEMP-ში და კონტრაქტორების CEMP-ებში ჩამოყალიბებულ ვალდებულებებთან შესაბამისობის მონიტორინგის ჩათვლით. EHS გუნდის საორგანიზაციო სტრუქტურა შეჯამებულია ცხრილში 4.1 ქვემოთ თითოეული როლის საკვანძო პასუხისმგებლობებთან ერთად. ამ როლების უფრო დეტალური პასუხისმგებლობები განსაზღვრულია ამ CEMP-ის 5 კარში.

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

ცხრილი 4.1: AGL/OE-ის EHS გუნდის საორგანიზაციო სტრუქტურა

Role

როლი	პასუხისმგებლობა	ადგილმდებარეობა	კომენტარი
AGL-ის პროექტის მენეჯერი / OE მთავარი ინჟინერი	საერთო პასუხისმგებლობა პროექტის და კონტრაქტორის მართვაზე, პასუხისმგებელია საკმარისი რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე CEMP-ის განსახორციელებლად.	ბათუმის სათავო ოფისი და სამშენებლო მოედანი	
AGL-ის HSE მენეჯერი	პოლიტიკა, საერთო პასუხისმგებლობა შესაბამისობაზე, კომუნიკაცია კრედიტორებთან.	ბათუმის სათავო ოფისი, რეგულარული ვიზიტები სამშენებლო მოედანზე	
OE გარემოს დაცვის მენეჯერი	საერთო მონიტორინგის და ანგარიშის წარდგენის პასუხისმგებლობები, EHS სისტემის მართვა, აუდიტის ჩატარება, ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან.	ბათუმის სათავო ოფისი, რეგულარული ვიზიტები სამშენებლო მოედანზე	
AGL-ის EHS ოფიცრები	მშენებლობის EHS მონიტორინგი, ყოველდღიური ანგარიშის მიწოდება	სამშენებლო მოედანი	
AGL-ის საზოგადოებასთან კავშირის ოფიცერი	საზოგადოებასთან კავშირი	ბათუმის სათავო ოფისი, რეგულარული ვიზიტები სამშენებლო მოედანზე	
AGL საზოგადოების და ცოცხალი ბუნების ოფიცერი	ცოცხალი ბუნების და ჰაბიტატების დარღვევის ან დაზიანების მონიტორინგი . ჩართულობა ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმების განხორციელებაში.	სამშენებლო მოედანი	

Location

გარკვეული საქმიანობისთვის შეიძლება დასჭირდეს პერსონალის დროებითი დაქირავება ან კონტრაქტის დადება. სავარაუდოდ, ესენი იქნება არქეოლოგები, ეკოლოგიის სპეციალისტები და პერსონალი ტრენინგისთვის, მუშები ან საზოგადოების წარმომადგენლები, სხვებს შორის ჯანდაცვის და ფინანსური მართვის ჩათვლით. ეს პერსონალი იქნება განლაგებული მშენებლობის ოფისებში მათი მუშაობის განმავლობაში.

4.2.3 კონტრაქტორის EHS ორგანიზაცია

კონტრაქტორის სამშენებლო მოედნის მენეჯერს ექნება საერთო ანგარიშვალდებულება EHS ეფექტურობაზე მთელი საქმიანობის განმავლობაში კონტრაქტორის კონტროლის

ქვეშ, მაშინ როდესაც კონტრაქტორების EHS მენეჯერი იქნება პასუხისმგებელი იმის უზრუნველყოფაზე, რომ ყველა EHS საკითხი სამშენებლო მოედანზე იმართებოდეს CEMP-ის თანახმად. კონტრაქტორის EHS პერსონალი იქნება განლაგებული სამშენებლო მოედანზე, EHS და სოციალური საკითხების ყოველდღიური მართვისათვის.

5. როლები და პასუხისმგებლობები

5.1 მიმოხილვა

ეს კარი წარმოადგენს ზუსტ როლებს და პასუხისმგებლობებს საკვანძო პერსონალის, რომელიც დაქირავებულია AGL/OE-ის და კონტრაქტორის მიერ. თითოეულ თანდართულ CEMP-ის ქვეგეგმებში კონკრეტული პასუხისმგებლობები, რომლებიც ეხება თითოეულ გარემოსდაცვით და სოციალურ თემას, მიეწერება შესაბამის როლებს. ესენი შეიცავენ შეტყობინების ხაზებს დარღვევის ან გარემოსდაცვითი ინციდენტის შემთხვევაში. ქვემოთ წარმოდგენილია CEMP-ის განხორციელებაში თითოეული კონკრეტული როლის ყოვლისმომცველი პასუხისმგებლობების დეტალები.

AGL/OE-ის პასუხისმგებლობაა მიიღოს ზომები, რომლებიც აღწერილია ამ CEMP-ში და თანდართულ ქვეგეგმებში გარემოს დაცვის მენეჯერი როლის მეშვეობით. AGL/OE უზრუნველყოფს მათი კონტრაქტორების შესაბამისობას მოთხოვნებთან, რომლებიც ჩამოყალიბებულია თითოეულ განსაზღვრულ როლებში სამშენებლო მოედნის ინსპექციის და აუდიტის პროცესის მეშვეობით.

5.2 AGL/OE

5.2.1 AGL-ს პროექტის მენეჯერი/ OE მთავარი ინჟინერი

- პასუხისმგებელია კონტრაქტორ(ებ)ის საერთო მართვაზე;
- საერთო პასუხისმგებლობა იმაზე, რომ საკმარისი რესურსები ხელმისაწვდომია CEMP-ის და თანდართული ქვეგეგმების განსახორციელებლად სამშენებლო საქმიანობის დროს, როგორც აღწერილია CEMP-ში; და
- საერთო პასუხისმგებლობა იმის უზრუნველყოფაზე, რომ სათანადო მაკორექტირებელი ქმედებები ხორციელდება ამ CEMP-ში ჩართულ ნებისმიერ ქვეგეგმებთან დაკავშირებული ნებისმიერი დადგენილი დარღვევის ან გარემოსდაცვითი ინციდენტის შედეგად.

5.2.2 AGL-ის EHS მენეჯერი

- მართავს EHS გუნდს და რესურსებს CEMP-ის და ქვეგეგმების განხორციელების უფლების მისაცემად;

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

- ანგარიშვალდებულია AGL-ის მენეჯმენტის და გარეშე ორგანოების წინაშე, ისეთების როგორცაა სამთავრობო ორგანოები და კრედიტორები, EHS საკითხების მართვაზე პროექტის განმავლობაში და ანგარიშის მიწოდებაზე პროექტის EHS საქმიანობაზე (ყველა გარემოსდაცვითი, სოციალური და უსაფრთხოების ასპექტზე);
- გამოყოფს სათანადო რესურსებს ნებისმიერი დიდი EHS ინციდენტის ან დარღვევის გამოკვლევების ჩასატარებლად და უზრუნველყოფს ნებისმიერი წარმოქმნილი მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელებას;
- ადგენს AGL-ის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკის პროექტს და ათანხმებს მას AGL-ის მენეჯმენტთან;
- უწევს კონსულტაციას და ამყარებს კონტაქტს EHS რეგულატორებთან და კრედიტორებთან საჭიროებისამებრ;
- ამტკიცებს EHS ანგარიშებს, რომლებიც უნდა წარედგინოს კრედიტორებსა და ხელისუფლებას; და
- განსაზღვრავს სათანადო მაკორექტირებელ ან მართვის ქმედებებს პროექტზე მომხდარი ნებისმიერი დიდი EHS ინციდენტის ან დარღვევის საპასუხოდ.

5.2.3 OE გარემოს დაცვის მენეჯერი

- უზრუნველყოფს, რომ AGL-ის გუნდი და OE პერსონალი მიიღებს გარემოსდაცვითი ტრენინგის სათანადო დონეს, მათი მოვალეობების შესასრულებლად;
- აწარმოებს პროექტის შესაბამისობის მონიტორინგს CEMP-ის და ქვეგეგმების მოთხოვნებთან და ყოველთვიურად აწვდის ანგარიშს საქმიანობაზე AGL EHS მენეჯერს;
- ამტკიცებს AGL-ის გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტის პროგრამას, რათა აწარმოოს მონიტორინგი CEMP-ის განხორციელების ეფექტურობა AGL-ის და მისი კონტრაქტორ(ებ)ის მიერ;
- აწარმოებს რეგულარულ (სულ ცოტა სამ თვეში ერთხელ) CEMP-ის განხორციელების აუდიტს პროექტის სამშენებლო მოედნებზე, გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტის პროგრამის თანახმად;
- ამტკიცებს CEMP-ის და მისი ქვეგეგმების და პროცედურების ნებისმიერ განახლებას;
- ამყარებს კონტაქტს გარემოს დაცვის ოფიცრებთან და კონტრაქტორის EHS მენეჯერთან სათანადო მაკორექტირებელი ქმედებების განსაზღვრაში, რაც უნდა იყოს განხორციელებული რაიმე დადგენილი დარღვევის ან ინციდენტების შედეგად, რომლებიც დაკავშირებულია ნებისმიერ გარემოსდაცვით, სოციალურ და ჯანდაცვისა და უსაფრთხოება ასპექტებთან და უწევს კონსულტაციას პროექტის მასშტაბით თანმიმდევრული მიდგომის და შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად;

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

- აწარმოებს ამ CEMP-ის და დაკავშირებული ქვეგეგმის და პროცედურების ყოველწლიურ მიმოხილვას (და საჭიროებისამებრ განახლებას);
- თვალს ადევნებს და დოკუმენტურად აფორმებს ნებისმიერ გამოსაყენებელ ცვლილებებს ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობაში და სტანდარტებში და განსაზღვრავს რეგულატორის მიერ გამოშვებულ გარემოსდაცვითი ნებართვის მოთხოვნებს. ავრცელებს ამ მოთხოვნების რეზიუმეს და პოტენციურ თითოეული შეთავაზებული სარეგულაციო ცვლილების გამოყენებადობას პროექტის საქმიანობაში;
- უწევს კონსულტაციას და ამყარებს კონტაქტს გარემოსდაცვით რეგულატორებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ფინანსურ მხარეებთან საჭიროებისამებრ;
- ადგენს EHS ანგარიშებს, რომლებიც უნდა მიეწოდოს კრედიტორებს ან რეგულატორებს; და
- უწევს კონსულტაციას პროექტის პერსონალს და კონტრაქტორებს საჭიროებისამებრ, პროექტის გარემოსდაცვითი ვალდებულებების და მოთხოვნების მიმართ, როგორც განსაზღვრულია ESIA, ESMP ან CEMP-ში.

5.2.4 AGL-ის გარემოსდაცვითი ოფიცრები

- აფასებენ ინსპექციების, მონიტორინგის და ანგარიშების მონაცემებს;
- აწვდიან მონაცემებს ყოველთიური EHS ანგარიშებისთვის (ყველა გარემოსდაცვითი, სოციალური და ჯანდაცვის და უსაფრთხოების ასპექტებისთვის) და აწვდიან გარემოს დაცვის მენეჯერს;
- აწყობენ ნებისმიერ გარემოსდაცვით მონიტორინგს, რისი ჩატარება საჭიროა მშენებლობის ფაზაში, როგორც განსაზღვრულია ამ CEMP-ში ჩართულ საბუთებში;
- უწევენ კონსულტაციას პროექტის პერსონალს და კონტრაქტორებს კონკრეტულ შემთხვევებზე გარემოსდაცვითი საუკეთესო პრაქტიკის ზომების მიმართ და პროექტის გარემოსდაცვითი ვალდებულებების და მოთხოვნების მიმართ, როგორც განსაზღვრულია ESIA, ESMP ან CEMP-ში;
- ეხმარებიან გარემოს დაცვის მენეჯერს სამშენებლო მოედნების ინსპექციის და გარემოსდაცვითი ტრენინგის ჩატარებაში საჭიროებისამებრ; და
- უზრუნველყოფენ მუდმივ საფუძველზე CEMP-ის და ქვეგეგმების მოთხოვნების შეტყობინებას ფორმალური ტრენინგის პროგრამის მეშვეობით მთელ პერსონალს, რომელიც ჩართულია მუშაობაში AGL-ის სახელით.

5.2.5 AGL-ის საზოგადოებასთან კავშირის ოფიცერი

- მოქმედებს როგორც AGL-ის უპირველესი შეხების წერტილი ადგილობრივ მოსახლეობასთან, როდესაც მათ აქვთ რაიმე საჩივრები პროექტის მშენებლობის ფაზის მიმართ;

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

- ამხელს მთელ რლევანტურ ინფორმაციას, როგორც დაკონკრეტებულია ESIA–ში, ხვდება დაინტერესებულ პირებს და დოკუმენტურად აფორმებს ყველა ურთიერთქმედებას;
- აწყობს შეხვედრებს დაინტერესებულ პირებთან;
- ახორციელებს ზედამხედველობას და ხელს უწყობს საზოგადოების პროგრამებს;
- ახორციელებს პროექტის შესაბამისობის მონიტორინგს CEMP–ის და ქვეგეგმების სოციალურ მოთხოვნებთან და ყოველთვიურად მოახსენებს საქმიანობაზე AGL–ის HSE მენეჯერს OE გარემოს დაცვის მენეჯერის მეშვეობით;
- განიხილავს AGL გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტის პროგრამას, რათა უზრუნველყოს, რომ ის სათანადოდ მოიცავს სოციალურ საკითხებს;
- ეხმარება გარემოს დაცვის მენეჯერს საჭიროებისამებრ სათანადო მაკორექტირებელი ქმედებების განსაზღვრაში, რაც უნდა განხორციელდეს ნებისმიერ გარემოსდაცვით, სოციალურ და ჯანდაცვის და უსაფრთხოების ასპექტებთან დაკავშირებულ რაიმე დადგენილი დარღვევის ან ინციდენტის შედეგად.
- შეაქვს სოციალური საკითხები EHS ანგარიშებში, რომლებიც უნდა მიეწოდოს AGL–ის მენეჯმენტსა და კრედიტორებს; და
- უწევს კონსულტაციას პროექტის პერსონალს და კონტრაქტორებს, საჭიროებისამებრ პროექტის გარემოსდაცვითი ვალდებულებების და მოთხოვნების მიმართ, როგორც განსაზღვრულია ESIA, ESMP ან CEMP–ში.

5.2.6 AGL–ის საზოგადოების ცოცხალი ბუნების ოფიცერი

- ატარებს სამშენებლო მოედნის ყოველდღიურ და ყოველკვირეულ EHS ინსპექციას. ყოველკვირეული ინსპექცია წარმართება სამშენებლო მოედნის ყოველკვირეული ნუსხების გამოყენებით, რაც დამუშავებულია რათა უზრუნველყოს ყველა საკონტროლო პირობა ადგილზეა, როგორც დაკონკრეტებულია ამ CEMP–ში;
- მოახსენებს ინსპექციების შედეგებს და დოკუმენტაციის მიმოხილვას კონტრაქტორის სამშენებლო მოედნის მენეჯერს და OE გარემოს დაცვის მენეჯერს;
- ატარებს გარემოსდაცვით ტრენინგს და უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟს სამუშაო ადგილზე ამ CEMP–ი განსაზღვრული მოთხოვნების თანახმად;
- მუშაობს კონტრაქტორებთან, რათა უზრუნველყოს, რომ ყველა გონივრული ზომა მიღებულია პროექტის მშენებლობის საქმიანობის ეკოლოგიური ზემოქმედებების მინიმუმამდე დასაყვანად.
- ატარებს ნებისმიერ გარემოსდაცვით მონიტორინგს, რომელიც განსაზღვრულია ნებისმიერ დოკუმენტაციაში, რომელიც მხარს უჭერს ამ CEMP;

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

- ახდენს ცოცხალი ბუნების და ჰაბიტატების მონიტორინგს, განსაკუთრებით რომელიც ეხება პროექტის მშენებლობის ფაზის პოტენციურ ზემოქმედებებს;
- ახორციელებს ნადირობის და თევზეობის აკრძალვას პროექტის ტერიტორიაზე;
- უწევს კონსულტაციას მთელ პერსონალს საჭიროებისამებრ ; და
- ახორციელებს პატრულირებას პროექტის ტერიტორიაზე, რათა უზრუნველყოს ქვეგეგმების სწორი დანერგვა.

5.3 კონტრაქტორის პერსონალით დაკომპლექტება

5.3.1 კონტრაქტორი სამშენებლო მოედნის მენეჯერი

- პასუხისმგებელია ყველა კონტრაქტორის მშენებლობის კომპონენტის ყოველდღიურ მართვაზე;
- საერთო პასუხისმგებლობა CEMP-ის და თანდართული ქვეგეგმების განსახორციელებლად საკმარისი რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე მთელი სამშენებლო საქმიანობის დროს, როგორც აღწერილია CEMP-ში;
- საერთო პასუხისმგებლობა იმის უზრუნველსაყოფად , რომ სათანადო მაკორექტირებელი ქმედებები ხორციელდება ნებისმიერი დადგენილი დაუცველობის ან გარემოსდაცვითი ინციდენტის შედეგად, რაც დაკავშირებულია CEMP-ში ჩართულ ნებისმიერ ქვეგეგმებთან;
- საერთო პასუხისმგებლობა კონტრაქტორის და სუბკონტრაქტორის პერსონალის მიერ CEMP-ში და ქვეგეგმებში აღწერილი ყველა მოთხოვნისა და ვალდებულების პრაქტიკულ განხორციელებაზე;
- საერთო პასუხისმგებლობა უთიერთობაზე AGL-ის EHS გუნდთან გარემოსდაცვითი საკითხების დარღვევის მიმართ; და
- საკმარისი რესურსების ხელმისაწვდომის უზრუნველყოფა ყველა მართვის ზომების განსახორციელებლად სამშენებლო მოედანზე, როგორც აღწერილია CEMP-ში და ქვეგეგმებში .

5.3.2 კონტრაქტორის EHS მენეჯერი

- უზრუნველყოფს, მუდმივ საქმუშებზე, რომ CEMP-ის და ქვეგეგმების მოთხოვნების შეტყობინება ხდება ოფიციალი ტრენინგის პროგრამის და სამუშაო ადგილზე უსაფთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟის მეშვეობით მთელ სამშენებლო მოედნის პერსონალს;
- უზრუნველყოფს არსებული EHS გეგმების /პროცედურების მიმოხილვას და განახლებს მათ საჭიროებისამებრ, რათა შეიტანოს ნებისმიერი დამატებითი მოთხოვნები, რომლებსაც შეიცავს CEMP და ქვეგეგმები;
- უწევს დახმარებას და კონსულტაციას კონტრაქტორის CEMP-ის და ქვეგეგმის მოთხოვნების შესასრულებლად;

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

- ამყარებს კონტაქტს გარემოსდაცვით ოფიცერთან, რათა უზრუნველყოს სათანადო მაკორექტირებელი და პროფილაქტიკური ქმედებები, განსაზღვრული ნებისმიერი დადგენილი დარღვევის ან გარემოსდაცვითი ინციდენტის შედეგად, რომლებიც ეხება გარემოს დაცვას, სოციალურ და ჯანდაცვის და უსაფრთხოების ასპექტებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას სამშენებლო მოედანზე;
- ახორციელებს CEMP-ის და ქვეგეგმების მოთხოვნების შესაბამისობის მონიტორინგს და მოახსენებს საქმიანობას კონტრაქტორის სამშენებლო მოედნის მენეჯერს;
- უზრუნველყოფს, რომ კონტრაქტორის გარემოს დაცვის ოფიცრები ადეკვატურად კვალიფიცირებულია, რათა გაიგონ და განახორციელონ CEMP;
- მოახსენებს ყველა მონაცემს და საქმიანობის მონაცემებს როგორც საჭიროა;
- ამყარებს კონტაქტს კონტრაქტორის EHS ოფიცრებთან, რათა უზრუნველყოს ეფექტური გარემოსდაცვითი მართვა ყველა სამშენებლო მოედნის ადგილმდებარეობაზე;
- აწარმოებს და აფასებს ინსპექციების, მონიტორინგის და ანგარიშების მონაცემებს;
- ყოველთვიურად მოახსენებს EHS საქმიანობას (გარემოსდაცვითი, სოციალური და ჯანდაცვის და უსაფრთხოების ასპექტების ჩათვლით) კონტრაქტორის სამშენებლო მოედნის მენეჯერს და OE გარემოს დაცვის მენეჯერს;
- უზრუნველყოფს მისი მართვის კონტროლის ქვეშ მყოფი მთელი პერსონალის გაწვრთნილობას ყველა გარემოსდაცვით პროცედურებში, რომელიც მათი სამუშაო საქმიანობის რელევანტურია;
- ამყარებს კონტაქტს რელევანტურ ორგანიზაციებთან საჭიროებისამებრ;
- პირველი საკონტაქტო წერტილია კონტრაქტორისა სახელმწიფო ორგანოებთან და სხვა გარეშე ორგანოებთან; და
- მიმოიხილავს სუბკონტრაქტორების პროცედურებს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა CEMP-სა და ქვეგეგმთან.

5.3.3 კონტრაქტორის გარემოსდაცვითი ოფიცრები

- დანიშნული პიროვნება, ვისი პირველი პასუხისმგებლობაა CEMP-ის და ქვეგეგმების ყოველდღიური განხორციელებაა;
- ატარებს უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟს სამუშაო ადგილზე;
- უწევს დახმარებას და კონსულტაციას სამშენებლო მოედნის მუშებს და ინჟინრებს CEMP-ის და ქვეგეგმების მოთხოვნების შესრულებაში;
- ატარებს ყოველდღიურ/ყოველკვირულ EHS სამშენებლო მოედნის ინსპექციებს, CEMP-ის 7 კარში აღწერილი მოთხოვნების თანახმად;
- მოახსენებს ინსპექციების შედეგებს და დოკუმენტაციის მიმოხილვას კონტრაქტორის EHS მენეჯერს;

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

- ავსებს სამშენებლო მოედნის გარემოსდაცვითი ქმედებების რეესტრს, თუ საჭიროა;
- უზრუნველყოფს, რომ ემისიების მართვის სათანადო ზომები ხორციელდება და შენარჩუნდება სამშენებლო მოედანზე CEMP-ის და ქვეგეგმების თანახმად მათი კონტროლის ქვეშ მყოფი ოპერაციებისთვის;
- დადგენილი პოტენციური ან ინციდენტის შემთხვევაში, მოახსენებს ინციდენტის ფორმის მეშვეობით და ახორციელებს სათანადო მაკორექტირებელ ან პროფილაქტიკურ ქმედებებს საჭიროებისამებრ; და
- სამშენებლო მოედნის მუშაობის წარმართვისას იცავს CEMP-ში ჩამოთვლილ პროცედურებს და ქმედებებს.

5.4 სუბკონტრაქტორები

კონტრაქტორის სამშენებლო მოედნის მენეჯერის საერთო პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს, რომ ყველა სუბკონტრაქტორი ასრულებს CEMP-ის და ქვეგეგმების მოთხოვნებს.

6. ტრენინგი

6.1 მიმოხილვა

წინა კარებში აღწერილი გარემოსდაცვითი მართვის მიდგომის მისაღწევად იგულისხმება, რომ მთელი სამშენებლო პერსონალი მიიღებს საჭირო ტრენინგს. კონტრაქტორები პასუხისმგებელნი იქნებიან უზრუნველყოფაზე, რომ კონტრაქტორის მთელ პერსონალს აქვს გათვითცნობიერებული მათი გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობები. ტრენინგი არ ჩატარდება როგორც ერთჯერადი, ამის მაგივრად ის განუწყვეტლივ განახლდება, როგორც მიმდინარე სამშენებლო მოედნის ტრენინგის პროგრამების ნაწილი, ფოკუსირებული სამშენებლო პერსონალის ტრენინგის საჭიროებებზე. ტრენინგი ჩატარდება ყველა ახალ თანამშრომელს და კვალიფიკაციის ამაღლების უწყვეტი კურსები იქნება დაარსებული პერსონალისთვის, რომლებსაც ისინი უნდა დაესწრონ წლის განმავლობაში.

გარემოსდაცვითი ტრენინგის პროგრამები უზრუნველყოფენ, რომ სამშენებლო მოედნის მთელ პერსონალს, როგორც გამოსაყენებელია მათ თანამდებობრივ მოვალეობებს, სრულად ესმით:

- პროექტის გარემოსდაცვითი მოთხოვნები და ის, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ისინი სამშენებლო მოედანზე და როგორ უნდა ხდებოდეს მათი მონიტორინგი;

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

- პროექტის პოტენციური ზემოქმედებები, შემარბილებელი ზომები, მიღებული ამ ზემოქმედებების საპასუხოდ და როდის და სად უნდა იქნას გამოყენებული ეს ზომები;
- ნებისმიერი გარემოს დაცვის მხრივ ან სოციალურად სენსიტიური ადგილები სამშენებლო მოედნის სიახლოვეს;
- პროცედურები მედიასთვის პასუხის გაცემის, სამშენებლო მოედანზე უნებართვო ვიზიტების და საზოგადოების მხრიდან შეკითხვების თაობაზე;
- სამშენებლო საქმიანობის ნებისმიერი განსაზღვრული სეზონური ეკოლოგიური სენსიტიურობები და შეზღუდვები (დროის შერჩევა ან მეთოდები);
- იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა მოექცე გაუთვალისწინებელ გარემოსდაცვით ინციდენტს; და
- იციან კონტრაქტორის პერსონალის როლები და AGL/OE გარემოსდაცვითი საკითხები.

6.2 სამშენებლო მოედანზე შესავალი ტრენინგი

როგორც ESMS-ის ნაწილი, სამშენებლო პერსონალის ყველა წევრი (როგორც AGL/OE-ის, ასევე კონტრაქტორ(ებ)ის) დაესწრებიან შიდა შესავალი ტრენინგის კურსს სამშენებლო მოედანზე. ის შეიძლება იყოს მიწოდებული თანმიმდევრულ სტრუქტურაში, პერსონალის მოსალოდნელი თანამდებობის მიუხედავად. ამ ტიპის ტრენინგის მთავარი მიზანია:

- შეთავაზებულ სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი რისკების ზოგადი გაგება;
- ადგილობრივი, ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნები; და
- AGL-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის და მისი პრაქტიკული განხორციელების განმარტება, იმის ხაზგასმით რომ მას მოაქვს შედეგები ყველა მუშაკის სამუშაო მეთოდების და პასუხისმგებლობებისთვის.

უნდა იყოს დაცული უწყვეტი ინფორმირებულობა გარემოსდაცვითი საკითხებში. დებულება გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკაზე უნდა იყოს მუდმივ დგარზე სამშენებლო მოედნის თვალში საცემ ადგილებში, ისეთებში როგორც ადმინისტრაციული კორპუსი, მიმღები, სადისპეტჩერო და პერსონალის სასადილო.

სამშენებლო მოედანზე შესავალ ტრენინგს გაივლის მთელი პერსონალი, სანამ ისინი დაიწყებენ მუშაობას სამშენებლო მოედანზე. როგორც მინიმუმი, ტრენინგი შეიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება, შემდეგით:

- CEMP-ის დანიშნულება და მიზნები;
- ამ CEMP-ში ჩამოყალიბებული მოთხოვნების მნიშვნელობის მიზეზი;
- სათანადო მუყაითობის და სიფრთხილის ვალდებულების მოთხოვნები;

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

- AGL-ის და კონტრაქტორის გარემოსდაცვითი პერსონალი და სხვა საკვანძო კონტაქტები;
- გარემოსდაცვითი კონტროლის განხორციელების მეთოდები, ჩართული CEMP-ში და ქვეგეგმებში;
- გარემოსდაცვით ინციდენტებზე შეტყობინების პროცედურა;
- პროცედურები მედიასთვის პასუხის გაცემის, სამშენებლო მოედანზე უნებართვო ვიზიტების და საზოგადოების შეკითხვების თაობაზე; და
- სამშენებლო მოედანის საგანგებო და რეაგირების გეგმების დეტალები.

გარდა სამშენებლო მოედანზე შესავალი ტრენინგისა, პერსონალს არ მიეცემა ნებართვა შეასრულოს სახიფათო ოპერაციები, იქამდე სანამ ისინი არ გაივლიან სათანადო დამატებით ტრენინგს.

6.3 სპეციალისტების გარემოსდაცვითი ტრენინგი

გარდა სამშენებლო მოედანზე შესავალი ტრენინგისა, დამატებითი სპეციფიკური გარემოსდაცვითი და სოციალური ტრენინგი იქნება ჩატარებული, ფოკუსირებული მუშაკთა მცირე დისკრეტული ჯგუფებისთვის, ვინც ასრულებს ერთსა და იგივეს ან მსგავს როლებს, ისეთებს როგორცაა კონტრაქტორების ზედამხედველები.

სპეციალისტების გარემოსდაცვითი და სოციალური ტრენინგი იქნება ჩატარებული აგრეთვე სამშენებლო მუშებისთვის, რამდენადაც ეს გამოსაყენებელია მათი თანამდებობრივი მოვალეობების მიმართ. შერჩეული მუშები იქნებიან პასუხისმგებელნი დაღვრებზე ავარიულ რეაგირებაზე (მეორე ხარისხის დაღვრაზე რეაგირების გუნდი, აღწერილი დაღვრის თავიდან აცილების და ქიმიკატების შენახვის გეგმაში) და აგრეთვე მიიღებენ სათანადო ტრენინგს.

AGL/OE და მისი კონტრაქტორები აწარმოებენ ტრენინგის საჭიროებების მატრიცას და მასთან დაკავშირებულ ტრენინგის პროგრამას, რათა განსაზღვრონ, მათი შესაბამისი ორგანიზაციების რომელი სპეციფიკური თანამდებობების როლები მოითხოვენ ასეთ დამატებით სპეციალურ ტრენინგს.

სპეციალისტების ტრენინგი იქნება შესრულებული ან შესაფერისი კვალიფიციური შიდა პერსონალის მიერ, ან დამტკიცებული სპეციალისტების გარეშე ტრენინგების მიერ.

6.4 უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე

კონტრაქტორის გარემოსდაცვითი ოფიცრების პასუხისმგებლობაა განახორციელონ სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟის პროგრამა მშენებლობის მთელი პერსონალისთვის მშენებლობის ფაზაში. საჭიროების შემთხვევაში მათ

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

დაეხმარებიან AGL-ის EHS ოფიცრები. სულ ცოტა ორკვირიანი უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე ჩატარდება ყველა მუშისთვის სამშენებლო მოედანზე; ისინი ჩატარდება ჯგუფებში, ინსტრუქციები იქნება სამშენებლო მოედანზე მათი სამშენებლო როლების რელევანტური. AGL/OE-ს ან კონტრაქტორის მთავარ მენეჯერს შეუძლია მოაწყონ დამატებითი უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟები სამუშაო ადგილზე, თუ წარმოიქმნება უსაფრთხოების ან გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების შემდეგი განხილვის საჭიროება.

ამ ინსტრუქტაჟების თემები მოიცავენ ყველა გარემოსდაცვით, სოციალურ და უსაფრთხოების საკითხებს; ისინი იქნება ფოკუსირებული საკითხზე, რომელიც რელევანტურია მომავალი სამშენებლო სამუშაოების ან დაკავშირებულია ცოტა ხნის წინ მომხდარ რაიმე დარღვევასთან. თემები, რომლებსაც მოიცავს ინსტრუქტაჟი, შეიცავენ შემდეგს, თუმცა არ შემოფარგლებიან ამით:

- მცენარეული საფარის გაწმენდის მინიმუზაცია;
- თევზაობის და ნადირობის აკრძალვა;
- წყლის ხარისხი და ეროზიის კონტროლი;
- ხმაურიანი სამუშაოები ან მუშაობა ნორმალური სამუშაო საათების გარეთ;
- გარემოსდაცვითი პროცედურები, მოცული CEMP-ის ქვეგეგმებით;
- დარღვევის პროცედურები ; და
- ამ CEMP-ის ნებისმიერი ცვლილებები.

ინსტრუქტაჟის ჩატარებისას კონტრაქტორის გარემოსდაცვითმა ოფიცერმა უნდა უზრუნველყოს, რომ ისინი იყოს საიტერესო, არაუმეტეს 15 წუთისა და სამშენებლო მოედანზე მიმდინარე საქმიანობის რელევანტური.

6.5 ტრენინგის ჩანაწერები

ყველა ჩატარებული ტრენინგის ჩანაწერები და დამსწრე მსმენელების ჩაწერა უნდა ხდებოდეს ISO 14001 EMS-ის მოთხოვნების თანახმად.

პერსონალმა უნდა შეავსოს დასწრების ფურცელი და ხელი მოაწეროს ყველა მოსმენილ კურსებს, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟის ტრენინგის ჩათვლით. პერსონალს აგრეთვე სთხოვენ შეავსონ კურსის შეფასების ფურცელი ყოველი კურსის ბოლოს, რათა შეფასდეს ჩატარებული ტრენინგის ეფექტურობა.

ყველა ჩანაწერი, კურსის შეფასების ფურცლის და დასწრების ფურცლის ჩათვლით, ინახება ცენტრალიზებულად კონტრაქტორის EHS მენეჯერის მიერ და ხდება ხელმისაწვდომი რაიმე აუდიტის დროს, რაც ტარდება როგორც აუდიტის პროგრამის ნაწილი.

7. გარემოსდაცვითი ინსპექცია, მონიტორინგი და აუდიტი

7.1 მიმოხილვა

ეფექტური ანგარიშგება არსებითია ESMS-ის პრაქტიკული ღირებულების უზრუნველსაყოფად. რეგულარული დამოუკიდებელი აუდიტი იძლევა უწყვეტი გაუმჯობესების საჭირო სტიმულს. გარემოსდაცვითი ინსპექცია, მონიტორინგი, ანგარიშგება და აუდიტი უნდა ტარდებოდეს, რათა უზრუნველყოს ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობა, როგორც ჩამოყალიბებულია CEMP-ში და ქვეგეგმებში.

პროექტის საქმიანობის მონიტორინგისთვის იქნება გამოყენებული ოთხ-საფეხურიანი მიდგომა, სახელდობრ:

- ტურები სამშენებლო მოედანზე;
- სამშენებლო მოედნის ყოველკვირეული ინსპექცია;
- აუდიტი; და
- გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროგრამა.

7.2 ტურები სამშენებლო მოედანზე

კონტრაქტორის გარემოსდაცვითი ოფიცრების და AGL-ის გარემოსდაცვითი ოფიცრების პასუხისმგებლობაა ჩაატარონ სამშენებლო მოედნის ყოველდღიური კონტროლი. ყოველდღიური კონტროლი იქნება ფოკუსირებული ეკოლოგიურად სენსიტიურ ადგილებზე და რეცეფტორებზე და CEMP-თან შესაბამისობაზე.

თუმცა სამშენებლო მოედნის კონკრეტული ნუსხა ან შესავსები ფორმა არ არსებობს, კონტროლის ჩანაწერი უნდა ინახებოდეს სამშენებლო მოედნის დღიურში და საჭიროების შემთხვევაში უნდა გაკეთდეს ფოტოსურათები. გარდა ამისა, ეკოლოგიური რეესტრი უნდა შეივსოს, რათა დაფიქსირდეს ნებისმიერი მცირე დარღვევა და მასთან დაკავშირებული ქმედებები, რისი ჩატარება დასჭირდება მშენებლობის პერსონალს. ეკოლოგიური რეესტრის დამატებითი დეტალები მოცემულია 8 კარში.

პოტენცურად სერიოზული ინციდენტის გამოვლენის შემთხვევაში კონტრაქტორის გარემოსდაცვითი ოფიცერი ან AGL-ის გარემოსდაცვითი ოფიცრები შეატყობინებენ OE გარემოს დაცვის მენეჯერს, რომელმაც უნდა უბრძანოს კონტრაქტორს შეწყვიტოს მუშაობა და მიყვეს დარღვევის პროცედურას, განსაზღვრულს CEMP-ის 8 კარში.

7.3 სამშენებლო მოედნის ყოველკვირეული ინსპექციები

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

კონტრაქტორის გარემოს დაცვის ოფიცრების და OE გარემოს დაცვის მენეჯერის (AGL–ის გარემოსდაცვით ოფიცრებთან ერთად) პასუხისმგებლობაა სამშენებლო მოედნის ყოველკვირეული ინსპექციების ჩატარება. ისინი ჩატარდება სამშენებლო მოედნის ყოველკვირეული ინსპექციების ნუსხის გამოყენებით, რაც მოცემულია ყოველი ქვეგეგმისთვის.

ეს ნუსხები გამოიყენება როგორც უპირველესი ინსტრუმენტი ნებისმიერი დარღვევის დასადგენად. დარღვევის შემთხვევაში, CEMP–ის 8 კარში განსაზღვრული დარღვევის პროცედურა უნდა განხორციელდეს. ისევე როგორც სამშენებლო მოედნის ყოველდღიურ კონტროლის დროს, ნებისმიერი დადგენილი მცირე პუნქტები, რაც მოითხოვენ დაუყოვნებლივ ქმედებას, უნდა ჩაიწეროს ეკოლოგიურ რეესტრში.

ნუსხების ასლები დაიბეჭდება და შეივსება კონტრაქტორის გარემოსდაცვითი ოფიცრის და OE გარემოს დაცვის მენეჯერის მიერ სამშენებლო მოედნის ინსპექციის დროს. შევსებული ნუსხები ინახება ცენტრალურ შენობაში და გადაეცემა სამშენებლო მოედნის კომპიუტერულ სისტემას დასაფიქსირებლად. ინსპექციები გამოიყენება იმის უზრუნველსაყოფად, რომ კონტრაქტორები სრულად ახორცილებენ მართვის პროცედურებს, აღწერილს თითოეულ ქვეგეგმაში.

სამშენებლო მოედნის ყოველკვირეული ინსპექციის დროს შეგროვილი ინფორმაცია ეცნობა კონტრაქტორის სამშენებლო მოედნის მენეჯერს. რელევანტური მონაცემები, ნებისმიერი მაკორექტირებელი ქმედებების დეტალებთან ერთად, იქნება ჩართული EHS ყოველთვიურ ანგარიშში, რომელიც უნდა შეივსოს კონტრაქტორის EHS მენეჯერის მიერ და მიეწოდოს კონტრაქტორის სამშენებლო მოედნის მენეჯერს და AGL–ის EHS მენეჯერს.

7.4 აუდიტი

7.4.1 შიდა

შიდა აუდიტი ჩატარდება OE გარემოს დაცვის მენეჯერის მიერ მინიმუმ ყოველკვარტალურად. ის კონტრაქტორი, რომლის მონიტორინგი ხდება, იქნება წარმოდგენილი კონტრაქტორის გარემოს დაცვის ოფიცრით ან EHS მენეჯერით. შიდა აუდიტი შეიცავს შემდეგს:

- კონტრაქტორების შესაბამისობის შემოწმებას საკონტროლო პროცედურებთან შერჩეულ CEMP–ის ქვეგეგმებში;
- CEMP–ის და ქვეგეგმების მიმოხილვას, მათი მშენებლობის მიმდინარე საქმიანობის რელევანტურობის უზრუნველსაყოფად და რეკომენდაციების მიცემა ცვლილებებზე, თუ საჭიროა;
- მონიტორინგის შედეგების მიმოხილვა რელევანტური კრიტერიუმებით, რაც ჩამოყალიბებულია თითოეულ ქვეგეგმაში;

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

- ყველა დარღვევის (თუ ასეთი არის) მიმოხილვა იმის განსაზღვრისთვის, თუ საჭიროა დამატებითი კონტროლი; და
- გარემოსდაცვითი ქმედების რეესტრის მიმოხილვა რათა უზრუნველყოს, რომ ყველა საკითხი განიხილება დროულად.

შიდა აუდიტის შედეგები მიეწოდება AGL-ის HSE მენეჯერს და კონტრაქტორის სამშენებლო მოედნის მენეჯერს საჭიროებისამებრ ზომების მისაღებად. შიდა აუდიტის შედეგად შეიძლება გახდეს საჭირო CEMP-ის განახლება.

7.4.2 გარე

7.4.2.1 დამოუკიდებელი აუდიტი

დაკრედიტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მშენებლობის ფაზაში, კრედიტორებს შესაძლოა დასჭირდეთ დამოუკიდებელი სამრეწველო გარემოსდაცვითი მართვის სპეციალისტის გარე მონიტორინგი ყოველი 6 თვის განმავლობაში/ დამოუკიდებელი აუდიტი განიხილავს არსებულ პრაქტიკას CEMP-ის და თანდართული ქვეგეგმების მოთხოვნების ფონზე. აუდიტის მთავარი მიზნები უნდა იყოს შემდეგი:

- ანგარიში CEMP-ის პრაქტიკულ განხორციელებაზე და მის პროგრესზე ბოლო ვიზიტიდან (თუ გამოსადეგია); და
- შესასრულებელი გაუმჯობესების მიზნების დადგენა, რაც უნდა დასრულდეს შემდეგ ვიზიტამდე.

ეს აუდიტი უნდა იქნას გამოყენებული CEMP-ის უწყვეტი მართებულობის ხელახლა შემოწმებისთვის და რჩევის მისაცემად ნებისმიერ საჭირო განახლებაზე. ყურადღება უნდა მიექცეს გაკვეთილებს მიღებულს გამოცდილების შუქზე. კერძოდ, უნდა განიხილოს მონიტორინგის მოქმედი პროგრამები, რათა განისაზღვროს დაკმაყოფილდა თუ არა მათი მიზანი, რომ ისინი შეწყდეს ან უფრო იშვიათი გახდეს.

7.4.2.2 კრედიტორის სავლე ვიზიტები

კრედიტორების წარმომადგენლები ჩაერთვებიან რეგულარულ სავლე ვიზიტებში, რათა მოახდინონ პროექტის პროგრესის მონიტორინგი გარემოსდაცვითი და სოციალური ზომების განხორციელებაში. კრედიტორები წინასწარ შეატყობინებენ ასეთ სავლე ვიზიტებს. AGL-ის EHS მენეჯერი OE გარემოს დაცვის მენეჯერის დახმარებით მოახდენს ასეთი სავლე ვიზიტების კოორდინაციას.

7.5 გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროგრამა

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

მშენებლობის ფაზაში დამატებითი გარემოსდაცვითი მონიტორინგი განხორციელდება, როგორც დაკონკრეტებულია მშენებლობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის ქვეგეგმაში. მონიტორინგი განხორციელდება გარდა ამისა სამშენებლო მოედნის ყოველდღიური და ყოველკვირეული ინსპექციისთვის შემდეგის მიმართ:

- მტვერის;
- წყალში ჩამდინარე წყლების ჩაშვების;
- მდინარის წყლის ხარისხის; და
- ხმაურის.

მონიტორინგის შედეგები შედარდება რელევანტურ ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროექტის შესაბამისობა.

8. დარღვევა და მაკორექტირებელი ქმედებები

8.1 მიმოხილვა

ეს კარი აღწერს პროექტის მშენებლობის ფაზაში შეტყობინებული გარემოსდაცვითი ან სოციალური დარღვევების შემთხვევაში სათანადო ქმედებებს. დარღვევა შეიძლება იყოს შეტყობინებული სამშენებლო მოედნის ყოველდღიური კონტროლის, სამშენებლო მოედნის ყოველკვირეული ინსპექციის ან სამშენებლო პერსონალის მიერ აღმოჩენისას. გარდა დარღვევისა, რომელიც იწვევს სამშენებლო სამუშაოების შეჩერებას, არის აგრეთვე მცირე გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები, რომლებზეც ყოველდღიური რეაგირებაა საჭირო. მათ უმახიან მცირე დარღვევებს ეკოლოგიური რეესტრის გამოყენებით.

მცირე დარღვევა განისაზღვრება როგორც:

- დარღვევა, რომლის გადაწყვეტა შეიძლება მოკლე დროში; და
- რომელიც არ აყენებს გარემოს ზიანს ან იწვევს საავარიო სიტუაციას.

დარღვევა, რომელიც მოითხოვს დარღვევის პროცედურის განხორციელებას, განისაზღვრება როგორც:

- გადახრა AGL-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკიდან ან მის საფუძველში მყოფი მიზნებიდან და ამოცანებიდან;
- გადახრა CEMP-ის და ქვეგეგმების/პროცედურების მოთხოვნებიდან; და
- სარეგულაციო დარღვევა, რომელსაც შეუძლია მიაყენოს გარემოს ზიანი და/ან გამოიწვიოს საავარიო სიტუაცია სამშენებლო საქმიანობის შედეგად.

8.2 მცირე დარღვევები

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

თუ სამშენებლო მოედნის ყოველდღიური კონტროლის ან სამშენებლო მოედნის ყოველკვირეული ინსპექციის შემთხვევაში დადგინდება მცირე დარღვევა, ისეთი როგორცაა ნაგვის ნაკადების არასათანადო განცალკევება, კონტრაქტორის გარემოსდაცვითი ოფიცრები და AGL-ის გარემოსდაცვითი ოფიცრები შეატყობინებენ OE გარემოს დაცვის მენეჯერს და კონტრაქტორის EHS მენეჯერს და დააფიქსირებენ ამას სამშენებლო მოედნის დღიურში და ეკოლოგიურ რეესტრში. ეკოლოგიური რეესტრის მიზანია შეინახოს ჩანაწერი ყველა მცირე დარღვევაზე და უფლება მისცეს კონტრაქტორის გარემოსდაცვით ოფიცრებს და AGL-ის გარემოს დაცვის ოფიცრებს შეამოწმონ ეს საკითხები, რომლებიც გადაწყდა შემდეგ დღეს და ამიტომ შეიძლება დაიხუროს ეკოლოგიურ რეესტრში.

8.3 დარღვევის პროცედურა

იმ შემთხვევაში, თუ დარღვევა დადგენილია ან სამშენებლო მოედნის ყოველდღიურ კონტროლის დროს ან სამშენებლო მოედნის ყოველკვირეული ინსპექციის დროს ან საჩივრის შედეგად, ამ დარღვევასთან დაკავშირებული ყველა სამშენებლო სამუშაო შეჩერდება. კონტრაქტორის EHS მენეჯერი გამოიკვლევს საკითხს და თუ დადასტურდება, რომ დარღვევა სამშენებლო საქმიანობის შედეგია და მას შეუძლია მიაყენოს ზიანი გარემოს და/ან გამოიწვიოს ავარია, მუშაობა არ განახლდება, სანამ რელევანტური საკონტროლო ზომები არ იქნება განხორციელებული სათანადოდ ან ადაპტირებული.

გამოკვლევების შემდგომი სპეციფიკური დეტალები მოცემულია თითოეული გარემოსდაცვით და სოციალურ ქვეგეგმებში. მაგრამ თუ დადგენილია დეფექტები და გარემოსდაცვითი მოთხოვნების და ამ გეგმის მიზნების დარღვევები შეიმჩნევა, იქნება შესვებული ინციდენტზე შეტყობინება, როგორც აღწერილია ქვემოთ.

8.4 ინციდენტზე შეტყობინება

მართვის პროცედურების ნებისმიერი დარღვევები, დადგენილი ნებისმიერ ქვეგეგმაში, როგორც ჩართულია დანართებში, უნდა იქნას მოხსენებული AGL-ის EHS მენეჯერს A დანართში მოცემული ინციდენტზე შეტყობინების ფორმის გამოყენებით.

როგორც ინციდენტზე შეტყობინების ფორმის ნაწილი, ნებისმიერი დამატებითი რელევანტური ქმედებები/შემარბილებლები, რომელთა საჭიროება დადგინდება, იქნება დადგენილი და შეთანხმებული კონტრაქტორის სამშენებლო მოედნის მენეჯერთან და OE გარემოს დაცვის მენეჯერთან. თუ ისინი თანახმაა, და ჩანაწერს გააკეთებენ ინციდენტზე შეტყობინების ფორმაში, OE გარემოს დაცვის მენეჯერის

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

პასუხისმგებლობაა განაახლოს რელევანტური საკონტროლო პროცედურები სათანადო ქვეგეგმებში.

ინციდენტზე შეტყობინების ფორმის თითოეული შევსებული ასლი შეინახება ფაილში AGL-ის EHS ოფიცერის მიერ და ჩაირთვება ყოველკვირეულ ანგარიშში.

9. საჩივრების დამუშავების პროცედურა

9.1 მიმოხილვა

ამ კარში მოცემულია საჩივარის შემთხვევაში საჭირო პროცედურის დეტალები.

9.2 საჩივრების პროცედურა

სტანდარტული ფორმა ტაბულის სახით წარმოდგენილია დანართში B ნებისმიერი გარემოსდაცვითი ან სოციალური საჩივრების დასაფიქსირებლად, რომლებიც მიღებულია საზოგადოებრივ ან სამთავრობო ორგანიზაციისგან ნებისმიერი საშუალებით: ვიზიტით სამშენებლო მოედანზე, სატელეფონო ზარით ან წერილით.

ფორმა მოკლედ ჩამოთვლს შემდეგ ინფორმაციას:

- საჩივრის თარიღი;
- მომჩივანის სახელი და საკონტაქტო მისამართი;
- საჩივარის მოკლე აღწერა, მომჩივანის ნებისმიერი კორესპონდენციის სარეგისტრაციო ნომრის მითითებით;
- მოკლე აღწერა ქმედებისა, განხორციელებული AGL-ის საზოგადოების კავშირის ოფიცერის მიერ საჩივრის მიზეზის გამოსაკვლევად და დადასტურის შემთხვევაში განხორციელებული მაკორექტირებელი ქმედება; და
- მომჩივანისთვის პასუხის გაცემის თარიღი, ნებისმიერი კორესპონდენციის სარეგისტრაციო ნომრით.

AGL-ის საზოგადოებასთან კავშირის ოფიცერი მოქმედებს როგორც საკონტაქტო წერილი პროექტზე წერილობითი კომენტარების და საჩივრების მისაღებათ.

ზეპირი და წერილობითი ცნობის რეგისტრაციის დროს რესპონდენტების ან მომჩივანების გვარები და პერსონალური მონაცემები შეინახება კონფიდენციალურად. ანგარიშის მიზნებისთვის ინფორმაცია იქნება ზოგადი, ასეთი როგორც „ადგილობრივი მაცხოვრებელი; 45 წლის ქალი" ან "(რეგიონის დასახელება) მაცხოვრებელი" გამოიყენება გვარების და მისამართების მაგივრად.

კომენტარების ან საჩივრების მიღების დადასტურება გაიგზავნება მიღებიდან ათი სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივარის შემთხვევაში, მომჩივანს ატყობინებენ მათი საჩივარის მდგომარეობაზე, სანამ საჩივარი არ გადაწყდება ან შემდგომი ქმედება იქნება შუუძლებელი. საჩივრების ანალიზის შედეგები შეჯამდება ყოველთვიურ ანგარიშებში, რომლებიც მიეწოდება AGL-ის EHS მენეჯერს, რათა მიიღოს გადაწყვეტილება შემამსუქებელი ზომების მიღების აუცილებლობაზე. სასწრაფო საკითხები, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ ყურადღებას, მიეწოდება AGL-ის EHS მენეჯერს შეუფერხებლად.

10. გარემოსდაცვითი შეტყობინების ჩანაწერები

10.1 მიმოხილვა

ეს კარი დაწვრილებით აღწერს გარემოსდაცვითი შეტყობინების და ჩანაწერების შენახვის მოთხოვნებს.

10.2 სარეგულაციო ანგარიშის წარდგენა

OE გარემოს დაცვის მენეჯერი აწარმოებს განახლებულ რეესტრს ყველა საჭირო გარემო დანტერესებული პირისთვის შეტყობინების მოთხოვნებს საქართველოს კანონმდებლობით და განსაზღვრავს პასუხისმგებლობებს ასეთ შეტყობინებაზე. კონტრაქტორის EHS მენეჯერის პასუხისმგებლობაა აწარმოოს მსგავსი რეესტრი მათ ქვეშ მყოფი საქმიანობისთვის.

10.3 ყოველთვიური EHS ანგარიშები

კონტრაქტორის EHS მენეჯერმა უნდა მოამზადოს ყოველთვიური ანგარიშები კონტრაქტორის სამშენებლო მოედნის მენეჯერისთვის და OE გარემოს დაცვის მენეჯერისთვის გასაგზავნად. ეს ანგარიშები ჩვეულებრივ არ უნდა იყოს 2-5 გვერდზე მეტი სიგრძის, და უნდა შეაჯამოს შემდეგი:

- პროგრესი CEMP-ის განხორციელებაში;
- მონიტორინგის პროგრამების მონაცემები, აქცენტით ნებისმიერ დარღვევებზე კონტროლის სტანდარტების, ქმედების დონის ან სტანდარტების სამშენებლო მოედნის საერთო მართვის;
- გადაუწყვეტელ ინციდენტზე შეტყობინების ფორმები;
- გარემო ორგანოების ნებისმიერი საჩივრების რეზიუმე და გაკეთებული/ გასაკეთებელი ქმედებები; და
- რელევანტური ცვლილებები ან შესაძლო ცვლილებები კანონმდებლობაში, რეგულაციებში და საერთაშორისო პრაქტიკაში.

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

ყოველთვიური EHS ანგარიშების მიმოხილვა ხდება AGL/OE მენეჯმენტის მიერ, რათა უზრუნველყოს CEMP-ის სათანადო გახორციელება. მიმოხილვის პროცესში ანგარიშები ასევე იქნება გამოყენებული იმის დასადგენად, არის თუ არა საჭირო CEMP-ის განახლება.

10.4 კვარტალური ანგარიშები კრედიტორებს

AGL-ის EHS მენეჯერი მიაწვდის კრედიტორებს კვარტალურ ანგარიშს, რომელიც შეიცავს შემდეგს:

- დარღვევის ინციდენტების რაოდენობა (თუ არის);
- საჩივრების რიცხვი ნებისმიერი გარემოსდაცვითი ან სოციალური უკმაყოფილების მიმართ (თუ არის);
- ნებისმიერი მაკორექტირებელი ქმედებების დეტალები (თუ არის);
- გარემოსდაცვითი მონიტორინგის შედეგები; და
- EHS-ის საერთო საქმიანობა.

10.5 ჩანაწერების შენახვა

როგორც მინიმუმი OE გარემოს დაცვის მენეჯერი უზრუნველყოფს ცენტრალიზებულ ჩანაწერების შემნახველ ადგილს პროექტის სამშენებლო მოედანზე და AGL-ის სათავო ოფისში ბათუმში. გარდა ამისა, ელექტრონული ასლები აგრეთვე იქნება რეგისტრირებული შესაფერის ადგილზე AGL-ის კომპიუტერულ სისტემაში. როგორც მინიმუმი შემდეგი ჩანაწერები უნდა ინახებოდეს სამივე ადგილზე:

- მთელი პერსონალის ტრენინგების დეტალური ჩანაწერები;
- სამშენებლო მოედნის დღიურის და ეკოლოგიური რეესტრის ასლები;
- სამშენებლო მოედნის ყოველკვირეული ინსპექციის ანგარიშები;
- ყოველთვიური EHS ანგარიშები;
- სამი ყოველთვიური აუდიტის ანგარიშები;
- კვარტალური ანგარიშები, გამოშვებული კრედიტორების და სხვა დაინტერესებული პირებისთვის;
- გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშები და შედეგები; და
- ოპერატიული ჩანაწერები, დაკონკრეტებული CEMP-ის ქვეგეგმებში, ისეთი როგორცაა ნარჩენების რეესტრები და ტანსპორტირების შენიშვნები.

ყველა კონტრაქტორი პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი მართვის ჩანაწერების წარმოებაზე სამშენებლო მოედანზე მათი კონტროლის ქვეშ მიმდინარე ოპერაციებზე.

დანართები

დანართი A. ინციდენტზე შეტყობინების ფორმა

მშენებლობის გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო გეგმა

დანართი B. საჩივრების ფორმა

დანართი A. ინციდენტზე შეტყობინების ფორმა

ინციდენტზე შეტყობინების ფორმა
<u>ინციდენტის შეფასება:</u>
<u>თარიღი:</u>
<u>დრო</u>
პერსონალის გვარი, რომელიც ატყობინებს ინციდენტზე:
პიროვნების გვარი, რომელიც ავსებს ფორმას:
ინციდენტის ხასიათი :
ინციდენტის მასშტაბი :
ინციდენტის ადგილმდებარეობა
პოტენციური ზემოქმედების ადგილები:
ინციდენტის მიზეზი :
ინციდენტზე რეაგირება :

დანართი B. საჩივრის ფორმა

C

საჩივრის ფორმა
თარიღი:
გვარი:
მისამართი (თუ გამოსაყენებელია):
საჩივრის მოკლე აღწერა, მომჩივანისგან ნებისმიერი კორესპონდენციის სარეგისტრაციო ნომრით:
მოკლე აღწერა ზომებისა, რომლებიც მიღებულია AGL-ის საზოგადოებასთან კავშირის ოფიცერის მიერ საჩივრის მიზეზის გამოსაკვლევადა და დადასტურების შემთხვევაში შესრულებული მაკორექტირებელი ქმედება:
მომჩივანისთვის პასუხის გაცემის თარიღი, ნებისმიერი კორესპონდენციის სარეგისტრაციო ნომრით:
გადაწყდა თუ არა საკითხი სრულად და დამაკმაყოფილებელი შედეგით?

omplaint Form

ხელმოწერილია: AGL-ის საზოგადოებასთან კავშირის ოფიცერი: _____

ხელმოწერილია: OE გარემოს დაცვის მენეჯერი: _____